ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 9 მარტი, 2011 №57 (5438) ფასი: 30 თეთრი

## ჯოხარ დუდაევის ვაჟი, დეგი დუდაევი, ლიტვაში დააკავეს



გვ.4

# სააკაშვილს დემოკრატის ნიღაბი უნდა ჩამოვგლიჯოთ!

სააკაშვილის არჩევანია ან ციხე, ან ხელისუფლება. მას სხვა არჩევანი არა აქვს, ამიტომ სააკაშვილი წავა სისხლის დაღვრაზე. მე მაინტერესებს, არის თუ არა ქართველი საზოგადოება მზად, როგორც ლიბიის საზოგადოებაა მზად, როგორც ეგვიპტის საზოგადოება იყო მზად, დაღვაროს სისხლი ამ პრიმიტივი ხელისუფლების ჩამოგდებაში.



გვ.2



გვ.5

ჩვენი გზა ალიან გრ ელი, შრომატევადი და უმადურია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ასეთი წნეხი ხელისუფლებაზე საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით არასდროს მომხდარა

## ხალხს ხელისუფლების დამხობისკენ არ წავიყვანთ

## სავალუტო ჯიხურში მოქალაქეებს ძარცვავენ

გვ.6



გვ.3

## გამყრელიძე რუსეთისგან სავიზო რეჟიმის გაუქმებას ითხოვს

შეუშვებს თუ არა რუსეთი საკუთარ ბაზარზე ქართულ პროდუქციას



## ბოკერია სააკაშვილისთვის ჯერ საფრთხეს არ წარმოადგენს

გვ.4

საქართველოს იმიტირებული ოპოზიცია ჰყავს



## რატომ ვერ სარგებლობენ გლეხები სამთავრობო ტრაქტორებით

გვ.7

## ხელისუფლებას ხალხს აღარ დავაჩაგვრინებთ!

გვ.7

## აშშ საქართველოში სამხედრო ოკუპაციის დასრულებას ცდილობს

გვ.6



## რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის მნიშვნელოვანია

გვ.2



## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 დათო მაღრაძე — დღევანდელი რეჟიმი ცდილობს, მასობრივი სკლეროზი გამოიწვიოს

6 ტრანსკავკასიური მაგისტრალი ჩაკეტილია

5 მსო-ში გაწევრიანებაზე რუსეთთან მოლაპარაკება საქართველოსთვის არაფრისმომცემია

6 ჯონდი ბაღათურიამ 8 მარტი პატიმარ ქალებს მიულოცა

# სააკაშვილს დემოკრატის ნიღაბი უნდა ჩამოვგლიჯოთ!

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***— ბატონო პაატა, ოპოზიციური პარტიების ნაწილმა რევოლუციების დაანონსება დაიწყო. თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულია წინასწარ დაანონსებული რევოლუცია?***

— ეს მხოლოდ არასერიოზულია და საერთოდ მეტყველებს, რომ ამ კატეგორიის პოლიტიკოსებს, რომლებიც რევოლუციაზე ლაპარაკობენ, არა გაქვთ გარკვეული გამოცდილება, იმიტომ რომ, რევოლუციები ასე ხელოვნურად არ ხდება. რევოლუციები სპონტანურად ხდება და შემდეგ იმართება უკვე. რაც მთავარია, არჩევნების წინ რევოლუცია ყოველთვის ხელისუფლებებს აწყობთ, რათა მერე ყველაფერი ვითომდა რევოლუციონერებს დააბრალონ. მე მგონი, ეს არასწორი ნაბიჯია და ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ბოლოს და ბოლოს, რა ურჩევნიათ. იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც კატეგორიული და პრინციპული წინააღმდეგი არიან რევოლუციებისა, სურთ, მკაფიოდ გაილაშქრონ ამის წინააღმდეგ და საზოგადოებას შესთავაზონ მხოლოდდამხოლოდ არჩევნები. საზოგადოებაში უნდა გამოიკვეთოს ორი მკაფიო პოზიცია — არჩევნები თუ რევოლუცია და საზოგადოებამ მიიღოს გადაწყვეტილება, არჩევნები ურჩევნია და მერე რევოლუცია თუ ჯერ რევოლუცია და მერე — ღმერთმა უწყის, რა.

***— თქვენც აღნიშნეთ და მეც არაერთხელ მომისმენია, რომ დღეს სააკაშვილს აწყობს არეულობა, რადგან ეს მხოლოდ მის წისქვილზე დაასხამს წყალს...***

— რა თქმა უნდა, ასეა. საზოგადოება დღეს არ არის მზად რევოლუციისათვის. ხალხი, რომელიც არჩევნებზე არ დადის, მით უმეტეს რევოლუციაზე არ დადის. ვინ დადის რევოლუციაზე? — ის, ვისაც არჩევნის საშუალება არა აქვს. არც ეგვიპტეში, არც ლიბიაში და არც ტუნისში ხალხს არჩევნის საშუალება არ ჰქონდა. ყელში ამოუვიდათ 30 წელი იმის ლოდინი, რომ არჩევნებზე არ ჰქონდათ საშუალება თავიანთი ნების გამოვლენისა და იძულებულნი იყვნენ, წასულიყვნენ რევოლუციაზე. საქართველოში, ღვთის მადლით, არჩევნებზე წასვლის საშუალება გაქვს. საქართველოში მოსახლეობის 50% არჩევნებზე არ დადის. ეს სხვა საკითხია, რატომ არ დადის, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანმა პოლიტიკის მიმართ გული აიცრუა და, თუ არჩევნების მიმართ გული აიცრუა, რევოლუციისთვის თავს გასწირავს, წავა და სისხლს დაღვრის და თავის სიცოცხლეს შესწირავს სააკაშვილის რეჟიმის ჩამოგდებას? არჩევნებზე არ მიდის და ამ ფორმით არ აპირებს სააკაშვილის რეჟიმის ჩამოგდებას და რევოლუციაზე წავა? ამიტომ ეს მიმართულება არის ყოვლად მიუღებელი. ვინაიდან ძალიან მცირე რაოდენობა რჩება საზოგადოებაში, ვისთვისაც რევოლუცია მისაღებია, ამიტომ სააკაშვილს აწყობს, ეს ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს და შემდეგ მსოფლიოს აჩვენოს, რომ ის დემოკრატია და მას ებრძვიან რაღაც ერთი მუჭა მარგინალი ჯგუფები, რომლებსაც არ სურთ, დემოკრატიული გზით განვითარდეს ქვეყანა. ეს სწორედ ხელს უშლის დემოკრატიული მიმართულებით მიმავალ პარტიებს, რომლებსაც მართლაც სურთ სააკაშვილის ჩამოგდება, ოღონდ მხოლოდდამხოლოდ კონსტიტუციური და დემოკრატიული გზით.

***— საუბარია იმის შესახებაც, რომ სააკაშვილი ამ ყველაფერს რუსულ ძალებს დაუკავშირებს და დასავლეთთან თავს ამით გაიმართლებს...***

— რა თქმა უნდა, სწორედ ასე იქნება, ყველაფერს გადააბრალებს რუსეთს და რუსულ ძალებს, თუმცა, მსოფლიოს უკვე აღარ სჯერა ამ შიშებისა და საფრთხობელების, როგორიცაა სიტყვაზე რუსეთი ან ალ ქაიდა. ნახეთ, ლიბიის პოლიტიკოსები



მუდმივად ალ ქაიდათი სპეკულირებენ და ზედ არ უყურებს ამას ამერიკის შეერთებული შტატები. კადაფი სულ ალ ქაიდაზე ლაპარაკობს და არა დასავლურ შეთქმულებაზე. ამერიკელებს აშინებს ისლამით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკას ასეთების არ სჯერა. თუ ალ ქაიდასი არ სჯერათ, მით უმეტეს რუსეთის აგრესიისა და ოკუპაციის აღარ სჯერათ და სულ სხვანაირად უყურებენ ამ ყველაფერს. სააკაშვილის ავტორიტარიზმი მათთვის უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე სააკაშვილის მიერ საფრთხობელად შექმნილი რუსეთის ფაქტორი.

***— როგორ ფიქრობთ, ის პარტიები, რომლებიც რევოლუციას აანონსებენ, ვერ ხვდებიან, რომ სააკაშვილის წისქვილზე ასხამენ წყალს თუ, უბრალოდ, მასთან შეთანხმებით მოქმედებენ?***

— მე მგონი, ხვდებიან, მათ ჰგონიათ, რომ რადგან ეგვიპტეში წარმატებას მიაღწია ამ პროცესებმა, საქართველოშიც მიაღწევს, თუმცა ვერ ფლობენ სიტუაციას, ვერ ხვდებიან, რომ საქართველოში ამ დაძაბულობის ეპიცენტრმა გადაიარა და საჭიროა ამის ხელახლა შექმნა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არჩევნების გზით გამარჯვების, ან არჩევნებზე დამარცხებით, ანუ სააკაშვილმა უნდა გააყალბოს არჩევნები, რათა შეიქმნას წინასარევოლუციო განწყობა. ეს ელემენტარულია და, ვფიქრობ, მათ აკლიათ პოლიტიკური გამოცდილება.

***— ეს ოპოზიციონერები საუბრობენ იმის შესახებ, რომ აუცილებლად გადმოგვედება ის მუხტი, რაც სხვა ქვეყნებშია...***

— ვერ გადმოგვედება. იქ არჩევნის საშუალება არ ჰქონდა ხალხს და ათწლეულები ელოდებოდნენ არჩევნის გაკეთების საშუალებას, ამიტომ, იძულებულნი გახდნენ, წასულიყვნენ მსხვერპლზეც კი. საქართველოში ეს მომენტი არ არის, საქართველოში სააკაშვილი ძალიან ეფექტურად მანიპულირებს საარჩევნო კონტექსტით, არ მიდის რა ხალხი არჩევნებზე სწორედ ამ ფორმით. დღეს მთავარი ამოცანაა არა რევოლუციაზე, არამედ არჩევნებზე მისვლაზე ლაპარაკი. ჩვენ ყველას უნდა დავაჯეროთ, რომ 2012 წელი არის ცვლილებების წელიწადი. სააკაშვილი იძულებულია, კონსტიტუციით წავიდეს, თუ უნდა, რომ შეინარჩუნოს იმიჯი დემოკრატი ხელისუფლებისა, რასაც კარგად ყიდის ჯერ კიდევ დასავლეთში. რადგან წამსვლელია, წესით, ის 2013 წელს პრეზიდენტი აღარ უნდა იყოს, ამიტომ 2012 წელი შეიძლება იყოს გადამწყვეტი, რომ პარლამენტში მოვიდეს ისეთი რაოდენობის ოპოზიცია, სააკაშვილის რაზმმა ვერ მოახერხოს მისთვის მისაღები კონსტიტუცია და მისთვის მისაღები კანონები გაიტანოს თავისუფლად პარლამენტში. რა თქმა უნდა, მე არა მაქვს იმის ილუზია, რომ სააკაშვილის ხალხი საერთოდ ვერ მოხვდება პარლამენტში, მაგრამ, სულ ცოტა, 60% მაინც რომ მოხვდეს ნაწილ-ნაწილ ოპოზიცია, ის ოპოზიციაც კი, რომელიც სახელისუფლოდ ითვლება, იძულებული გახდება, რეალური ოპოზიცია გახდეს. ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც სააკაშვილის საყვარელ ოპოზიციად ითვლებიან, გათავისუფლდებიან სააკაშვილის წინაშე ვალდებულებებისაგან და თავისუფლები გახდებიან, რადგან დავალებულნი აღარ იქნებიან სააკაშვილისგან. ამ ფაქტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუნდაც 55% მოხვდეს ოპოზიციისა პარლამენტში, ეს ძალიან დიდი ძალა იქნება, რათა სააკაშვილმა თავისი ანტისახელმწიფოებრივი რეფორმები და მოდერნიზაცია ვერ განახორციელოს.

***— რევოლუციის მომხრე ოპოზიციონერები საუბრობენ იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებები ოპოზიციურ რვიანსა და ხელისუფლებას შორის ჩიხში შევიდა და სააკაშვილმა უარი თქვა სამართლიან არჩევნებზე.***

— თუ ჩიხში შევიდა, ძალიან კარგი, ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს სააკაშვილის უნიათობას. ამ რვიანის პოლიტიკა ეფექტურია, იმიტომ რომ საზოგადოებას აჩვენებს ხელისუფლების რეალურ სახეს, რომ ხელისუფლება არ არის მზად მოლაპარაკებებისათვის. ეს ძალიან კარგია, ჩვენ არჩევნებამდე დიდი დრო გვაქვს, წელიწადზე მეტი, ამიტომ, კეთილი უნდა ვინებოთ და მაქსიმალურად ჩამოვგლიჯოთ დემოკრატის ნიღაბი სააკაშვილს. როცა რევოლუციაზე ლაპარაკობ, ვერ წარმოაჩენ სააკაშვილის მანკიერ მხარეს. როცა შენ დემოკრატიული პრინციპებით ელაპარაკები ხელისუფლებას, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე ელაპარაკები და ის უარს გეუბნება, ამით აჩვენებ განსხვავებას როგორც საზოგადოებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას, რა განსხვავებაა შენ და სააკაშვილს შორის, რომ შენ ხარ ნამდვილად დემოკრატიული ინსტიტუტების მომხრე და სააკაშვილი წინააღმდეგია. ამ მოლაპარაკებებს მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ ჩიხში შევიდეს. მთავარია, ჩიხში შევიდეს სააკაშვილის მიზეზით და არა ოპოზიციის.

***— ბატონო პაატა, თქვენ განაცხადეთ, რომ უფრო გამართლებული იქნება რევოლუცია არჩევნების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები გაყალბდება?***

— რა თქმა უნდა, ხალხი დაიჯერებს ამას მაშინ, სააკაშვილი არ თმობს ხელისუფლებას და არჩევნები არის ბლეფი. ჯერ ხომ სააკაშვილს არჩევნები ტოტალურად არ გაუყალბებია, ფაქტია. ჩამოვთვალოთ არჩევნები: 2004 წელს აბსოლუტური მხარდაჭერა ჰქონდა, იმიტომ რომ რევოლუციის შემდგომ იყო და მას კონკურენტი არ ჰყავდა. 2008 წელს უკვე სულ რაღაც 53% აიღო ხმების, სულ რაღაც 3% მიამატა. მას პირველ ტურში ნამდვილად არ გაუმარჯვია, მაგრამ არ დასჭირვებია 60 და 70%-ით გაყალბება. დასჭირდა მხოლოდ 10%-ით გაყალბება. მან აიღო სადღაც 45% და ძალიან მცირე რაოდენობა გააყალბა, რომლის დამტკიცებაც ძნელი იქნებოდა. მაშინ პირველ ტურში არც გაჩეჩილაძეს გაუმარჯვია და არც სააკაშვილს. შემდეგ უკვე ჩატარდა საპარლამენტო ადგილობრივი არჩევნები. ხალხის 50%-ზე მეტი არ მივიდა არჩევნებზე. რომ მისულიყო, საკრებულოში ასე ცოტა ოპოზიციონერი არ იქნებოდა, ანუ რესურსი არჩევნებით გამარჯვებისა არის ძალიან მაღალი და რესურსი გაყალბების არის ძალიან დაბალი. არსებობს გაყალბების რესურსები, მაგრამ სააკაშვილს ძალიან დაბალი რესურსი აქვს. სააკაშვილს რომ ჰქონოდა გაყალბების მაღალი რესურსები, 30%-ზე კი არ გაიქცეოდა პარლამენტში და კი არ მიატოვებდა მოლაპარაკებების მაგიდას. თუ გახსოვთ, ჩიხში შეიყვანა მაშინ მოლაპარაკებები, არამედ 50%-ზე დათანხმდებოდა, იმიტომ რომ, დარწმუნებული იქნებოდა, მას აქვს რესურსი გაყალბებისა 50%-ზე მეტის. სააკაშვილს არა აქვს ეს რესურსი, ამიტომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მოსახლეობის 80% თუ მაინც მივა არჩევნებზე, სააკაშვილს თავისი ამომრჩეველი ჰყავს ეს დაახლოებით 25%-ს შეადგენს. ხელისუფლებას მუდმივად ჰყავს თავისი ამომრჩეველი. ამდენივე ჰყავდა შევარდნაძესაც — პენსიონერები, პოლიციელები და ასე შემდეგ. ხელისუფლების მხოლოდ 25%-ია, დანარჩენი 75% არ არის ხელისუფლების მხარდამჭერი. კეთილი უნდა ინებოს ოპოზიციამ და ამ 75%-ში მოაგროვოს მაქსიმალური ხმები. ეს იქნება სერიოზული შანსი. სააკაშვილმა, თუ უნდა, რომ გაიმარჯვოს, სერიოზულად უნდა გააყალბოს, ეს კი იმხელა გაყალბება იქნება, რომ აუცილებლად იყვირებს, როგორც შევარდნაძე-აბაშიძის გაყალბებამ იყვირა 2003 წელს. ამიტომაც მოადგა რევოლუცია კარს ქვეყანას. ასევე იქნება სააკაშვილის შემთხვევაში. თუ არჩევნების შემდეგ სააკაშვილმა ითავხედა და გააყალბა, საზოგადოებას სხვა გზა აღარ ექნება, გარდა იმისა, რომ ქუჩაში გამოვიდეს. ახლა ქუჩაში გამოყვანა აბსურდია. თუ მართლა გაბედა სააკაშვილმა და ეს არჩევნები გააყალბა, საზოგადოებას მორალური უფლება ექნება, ჩამოაყირავოს სააკაშვილი.

***— თუ მართლა აგორდა რევოლუციური ტალღა ამ გაზაფხულზე, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი არის სისხლისღვრაზე წამსვლელი?***

— კი, რა თქმა უნდა, წავა. სააკაშვილი ყველაფერზეა წამსვლელი. სააკაშვილის არჩევანია ან ციხე, ან ხელისუფლება. მას სხვა არჩევანი არა აქვს, ამიტომ სააკაშვილი წავა სისხლის დაღვრაზე. მე მაინტერესებს, არის თუ არა ქართველი საზოგადოება მზად, როგორც ლიბიის საზოგადოებაა მზად, როგორც ეგვიპტის საზოგადოება იყო მზად, დაღვაროს სისხლი ამ პრიმიტივი ხელისუფლების ჩამოგდებაში. მუბარაქი არ იყო პრიმიტიული მმართველი. ის იყო დიქტატორი. სააკაშვილი არ არის დიქტატორი. სააკაშვილი არის თიხის ფეხებზე შემდგარი ავტოკრატიული მმართველი. მისი ჩამოგდება სულის შებერვით შეიძლება. ასე რომ, ვინ არის მზად, თავისი სიკვდილის ფასად ჩამოაგდოს სააკაშვილი! მაჩვენეთ ეს ადამიანი. მე არ მინახავს ის. დავდიოდი მიტინგებზე და ღამლამობით კაციშვილი არ რჩებოდა გარეთ. სიკვდილისთვის კი არა, ღამე დარჩენისთვის მზად არ იყვნენ. ეგვიპტეში კომენდანტის საათი გამოცხადდა და ხალხი სახლში არ წავიდა, კომენდანტის საათმა ვერ იმუშავა, თბილისში კი ღამე ხალხი სახლში გარბოდა. ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ ხალხს არ აწუხებს ეს პრობლემა. რა შუაშია აქ ოპოზიცია. ეგვიპტეში ოპოზიციას კი არ გამოუყვანია ხალხი ან ტუნისში, ხალხი თვითონ გამოვიდა და ოპოზიცია მერე გამოჰყვა. ის ხალხი იანვარ-თებერვალში იდგა ქუჩაში და არა აპრილ-მაისში. ხალხი მზად არ არის და ნუ ვიტყუებთ თავს, ნურც სხვას ვატყუებთ. ჯობია, მოვემზადოთ არჩევნებისათვის, შედარებით უწყინარი პოლიტიკურად გამართული ნაბიჯისათვის. აი, თუ გააყალბეს, მერე ვილაპარაკოთ სხვა რაღაცებზე.

# რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის მნიშვნელოვანია

შორენა გონგლაძე

საქართველოს პოზიცია უკვე ცნობილია, თუ რა საკითხებს დააყენებს ბერნში 9-10 მარტს დაგეგმილ მოლაპარაკებებზე. თუ რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება უნდა, საქართველოსთან გარკვეულ დათმობებზე მოუწევს წასვლა. როგორც ცნობილია, ქართული მხარე რუსეთისაგან ფსოუსა და როკის საბაჟო-გამშვები პუნქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და იქ ქართველი მებაჟეების დაშვებას მოითხოვს. რამდენად რეალურია ქართული მხარის ეს მოთხოვნა, ხომ არ შეიყვანს ეს საკითხი მოლაპარაკებებს ჩიხში და რა საკითხებზე უნდა გაამახვილოს საქართველომ ყურადღება, ამ და სხვა საკითხებზე ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი გვესაუბრება.

***— ბატონო გია, რამდენად სწორია ქართული მხარის პოზიცია და რამდენად იქნება მიღწეული ამ საკითხებზე შეთანხმება?***

— თავისთავად ის, რომ რუსული ოკუპაცია უნდა დამთავრდეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გადაწყდეს, ეს პოზიცია შეიძლება არ გაიზიარონ, მაგრამ პოზიცია არის სწორი. სხვა საკითხია, რუსეთის გაწევრიანების თემა რამდენად შეიძლება გახდეს ამ პრობლემის გადაწყვეტის ბერკეტი. აქ არის სერიოზული კითხვის ნიშნები. მე, პირადად, ვფიქრობ, რომ რუსეთისთვის ეს არ არის ადეკვატური ფასი, რომელსაც ის გადაიხდიდა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების საფასურად. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მოლაპარაკებები უნდა იყოს რეალისტური, ყველა საკითხს პოლიტიკაში აქვს თავისი ფასი, საქართველომ უნდა მოძებნოს ის ფასი, რისი გადამხდელიც რუსეთი რეალურად შეიძლება იყოს. თუ ასე არ მოხდა, ამ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის გაწევრიანებით დაინტერესებულია არა მხოლოდ რუსეთი, არამედ მთელი მსოფლიო, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ორგანიზაციის წევრობა მხოლოდ უფლებები არ არის, ვალდებულებებიც არის და, თუ ჩვენ მოვითხოვთ ყველა ჩვენი პრობლემის გადაწყვეტას ამ თემის სანაცვლოდ, საბოლოო ჯამში, აღმოჩნდება, რომ ჩვენ ვერაფერსაც ვერ მივიღებთ და რაღაცნაირად იძულებული გავხდებით, რუსეთს თანხმობა ვუთხრათ. თუ თანხმობა არ ვუთხარით და რუსეთის გაწევრიანების ბლოკირება მოვახდინეთ, ამით მხოლოდ რუსეთს კი არ გავაბრაზებთ, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოს გავაბრაზებთ, ანუ ეს არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს რეალურ პოლიტიკად. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ უნდა ვნახოთ ის ფასი, რაშიც შეიძლება ამის გაცვლა. საბაჟო-გამშვები პუნქტის გაკონტროლება არასერიოზული მოთხოვნაა, რა თქმა უნდა, სამართლიანი, მაგრამ ამ მოთხოვნის დაყენება ამ ეტაპზე არასერიოზულია. ამ მოთხოვნის დაყენება ნიშნავს მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანას. ჩვენს ხელისუფლებას შეუძლია გააგრძელოს გოლიათთან მებრძოლი დავითის პოზაში ყოფნა. წინასწარ არის ცნობილი, რომ რუსეთი ამაზე არ წავა. რა აზრი აქვს მოლაპარაკებას, რომელიც წინასწარ არის განწირული ჩაშლისთვის. მაშინ ჯობია, საერთოდ არ წავიდეს.

***— რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება იმისათვის, რომ მოლაპარაკებები ჩიხში არ შევიდეს?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჟურნალისტების კითხვებს წერილობით ითხოვს

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე ჟურნალისტებისაგან შეკითხვების წერილობით მიღებას ითხოვს.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე „მედიანიუსი“ ცხინვალში იტალიური ჯგუფის „რიკი ე პოვერის“ კონცერტზე ქართული მხარის რეაგირებით დაინტერესდა; კერძოდ, იმით, თუ რა გზით შეაღწიეს მომღერლებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იყო თუ არა ამაზე ინფორმირებული იტალიის საელჩო საქართველოში და გააპროტესტებს თუ არა ამ ფაქტს ოფიციალურად საქართველოს ხელისუფლება.

როგორც მანანა მანჯგალაძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ამ ფაქტზე ინფორმაცია აქვს, მაგრამ „სიზუსტის დასაცავად“ მან სააგენტოს წერილობითი კითხვით მიმართვა ურჩია.

ბრიფინგზე მყოფი ერთ-ერთი ჟურნალისტი კი ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს მიერ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტთან“ საუბრისას საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის არაკორექტულად მოხსენებაზე ადმინისტრაციის კომენტარითა და იმით დაინტერესდა, თუ რა გავლენას მოახდენს ასეთი განცხადება საქართველო-ბელორუსის შემდგომ ურთიერთობებზე. მანანა მანჯგალაძემ ეს კითხვაც წერილობით მოითხოვა. ჟურნალისტის თქმით, მან კითხვა ადმინისტრაციაში წინა დღით გადაგზავნა, რაზეც პრეზიდენტის პრესსპიკერმა აღნიშნა, რომ კითხვა არ მიუღია.

მანანა მანჯგალაძეს ჟურნალისტთა კითხვები წერილობით აქამდეც არაერთხელ მოუთხოვია.

**მედიანიუსი**

## მთავრობას საპენსიო რეფორმაზე წინადადებების მომზადება დაევალა



საქართველოს მთავრობა საპენსიო რეფორმაზე წინადადებებს უახლოეს თვეებში წარმოადგენს.

როგორც გუშინ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, შესაბამისი დავალება აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტმა მისცა.

მისი თქმით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბაზისო პენსიის რაოდენობა 100 ლარს გაუტოლდება, რასაც სათანადო თანხა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით დაემატება. სოციალურად დაუცველ პენსიონერებს შეღავათი შეუნარჩუნდებათ.

მანანა მანჯგალაძის თქმით, ასეთი გადაწყვეტილება მთავრობამ კონსულტაციების შედეგად მიიღო, რაც შემდეგ პრეზიდენტმა პენსიონერებს რუსთავში გამართული შეხვედრისას გააცნო. აღნიშნული გადაწყვეტილება მსოფლიოში მიმდინარე ინფლაციური პროცესებით არის განპირობებული.

— ამასთან, ეს არის იმ დანაპირების შესრულებისაკენ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი, რასაც 100-დოლარიანი პენსია ჰქვია. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისსა და რეგიონებში მცხოვრებ პერსიონერებს შორის პენსიების მიღებისას არსებული დისბალანსი აღმოიფხვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისელი პენსიონერების საბაზისო პენსია 10, ხოლო რეგიონებში მცხოვრებთა 20-ლარით გაიზრდება, — აღნიშნა მანანა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ პენსიების მატება მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყება.

**მედიანიუსი**

# გამყრელიძე რუსეთისგან სავიზო რეჟიმის გაუქმებას ითხოვს

### შეუშვებს თუ არა რუსეთი საკუთარ ბაზარზე ქართულ პროდუქციას

**ნათია ხურცილავა**

**საქართველო-რუსეთს შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები იწყება. „ახალი მემარჯვენეები“ ხელისუფლებას მოუწოდებენ, აღნიშნული მოლაპარაკებები ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისთვის გამოიყენოს.**

„მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ პრესკონფერენციაზე დაასახელა სამი მოთხოვნა, რომელის სანაცვლოდ, ქართულმა მხარემ უნდა მისცეს რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თანხმობა.

— მოხსნას საკუთარ ბაზარზე ქართული პროდუქციისთვის დაწესებული ოფიციალური და არაოფიციალური ემბარგო. გააუქმოს შეზღუდვები საქართველო-რუსეთს შორის სატრანსპორტო მიმოსვლაზე. გაამარტივოს სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის, ისევე, როგორც რუსეთის მოქალაქეებისთვის არის გამარტივებული საქართველოს ვიზის მიღება, — ასეთია მოთხოვნათა ის ჩამონათვალი, რომლის დაყენებასაც მოითხოვენ „ახლები“ ხელისუფლებისგან.

პარალელურად კი „ახალი მემარჯვენეები“ ევროკავშირისგან, როგორც დაინტერესებული მხარისგან, ითხოვენ: დააჩქაროს და უზრუნველყოს 2011 წლის ბოლომდე საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერა.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით უნდა უზრუნველყოს სპეციალური სახელმწიფო გარანტიების მექანიზმების ამუშავება.

**დავით გამყრელიძე „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:**

— ბოლო პერიოდში რუსეთს ამერიკამაც და ევროკავშირმაც პრაქტიკულად სრული თანხმობა განუცხადა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აქამდე, საქართველო არ იყო მარტო. ევროკავშირიც და ამერიკაც პრაქტიკულად ჩვენი პარტნიორები იყვნენ ამ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების წინააღმდეგ, მთელი რიგი პირობები იდგა მათ გასაწევრიანებლად. ახლა, პრაქტიკულად საქართველო მარტო დარჩა. ბოლო პერიოდში აქტიურად ისმის ჩვენი მეგობრების, ამერიკელი მაღალჩინოსნების რჩევები. მაგალითად, მაიკლ მაკფოლის განცხადება, რამდენიმე ხნის წინ გაკეთდა სახელმწიფო მდივნის მოადგილის სტეინბეკის განცხადება იმაზე, რომ საქართველომ პოლიტიკური მოთხოვნების ნაცვლად უკეთესია ეკონომიკური მოთხოვნები წამოწიოს წინ ამ მოლაპარაკებებში. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეებიც“ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ჯობია ეს შესაძლებლობა, ეს რეალური ბერკეტი, რომელიც დღეს საქართველოს ხელთ არის, გამოვიყენოთ ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, ეკონომიკის გასაძლიერებლად. 2006 წელს ბლოკადა, რომელიც რუსეთმა ცალმხრივად გამოაცხადა საქართველოს მიმართ, აღმოფხვრილი უნდა იქნას. კონკრეტულად, ქართული პროდუქციისთვის უნდა გაიხსნას რუსეთის ბაზარი. არა აქვს მნიშვნელობა, ოფიცალური თუ არაოფიციალური მიზეზით არის დაკეტილი. ვგულისხმობ სანიტარული ნორმების დარღვევას და ა.შ. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს იყო რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება. საუბარია სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენაზე რუსეთ-საქართველოს შორის, რომელიც ასევე ცალმხრივად რუსეთმა გააუქმა. ასევე, საქართველოს მოქალაქეებისთვის გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთში შესასვლელად, როგორც ეს არის რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში შე-



მოსასვლელად. რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ აეროპორტშივე აიღონ საქართველოს ვიზა და თავისუფლად შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. პარალელურად ჩვენ ვამბობთ, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირი დაინტერესებული მხარეა მოლაპარაკებებში, შეიძლება პარალელურად ევროკავშირთან დავაყენოთ გარკვეული წინადადებები. ბოლო წლებია მოლაპარაკებები მიმდინარეობს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ. ძალიან გაჭიანურდა ეს პროცესი, საქართველოს მხრიდან ბევრი რამ შესრულდა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ ევროკავშირი ამ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. ვფიქრობ, უპრიანი იქნება სწორედ ამ საკითხს მიებას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარება და გარკვეული ვადის დათქმა, რომ 2011 წლის ბოლომდე მოეწეროს ხელი ამ ხელშეკრულებას. ასევე პარალელურად ეთხოვოს ევროკავშირს, რომ სტიმულირება მოხდეს ევროკავშირის ქვეყნებიდან უცხოური ინვესტიციების, წახალისება ისეთი ფორმით, როგორც ამერიკა ახორციელებს „ოპიკის“ მეშვეობით. ამ ტიპის ორგანიზაცია ასევე არის საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ეს არის სტრუქტურები, რომლებიც აზღვევენ კრედიტებს, აზღვევენ ინვესტიცებს, ქმნიან გარანტიებს. ეს კონკრეტული საკითხები დავაყენეთ საქართველოს დელეგაციის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ჟღერს პოლიტიკური მოთხოვნები, ფსოუზე და როკის გვირაბთან მონიტორინგის განხორციელების დაწყება, ფაქტია, რომ ეს მოთხოვნები დღეს არარეალისტურია, რადგან ეს ნიშნავს, რუსეთმა ცოტა ხნის წინ, მის მიერვე ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარების გადაწყვეტილება უნდა მოხსნას და უკან წაიღოს. ფაქტია, ეს ბერკეტი, როგორიც არის საქართველოს თანხმობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანება — არ გაწევრიანებასთან დაკავშირებით, არ იქნება ამისთვის საკმარისი. ასეთი დიდი პოლიტიკური საკითხისთვის, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობის აღიარება და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღება. ამიტომ მგონია, რომ არარეალისტურია. სამართლებრივად, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ მირჩევნია, რომ ჯობია საქართველო იყოს უფრო პრაგმატული, უფრო საქმიანი ამ მოლაპარაკებებში და რეალური შედეგი წამოიღოს. დღეს მთავარი გამოწვევა საქართველოს სახელმწიფოსთვის ეკონომიკაა, ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისი. ქვეყნის უსაფრთხოებაც, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობაც, ადამიანების დასაქმება, ზოგადად კეთილდღეობა ეს ყველაფერი უკავშირდება ეკონომიკური კრიზისის დაძლევას და საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეს.

***— ამიტომ ითხოვთ ხელისუფლებისგან ეკონომიკური საკითხების დაყენებას და არა პოლიტიკურის?***

— ინფლაციის დასაძლევად ძალიან გვჭირდება ახალი საექსპორტო ბაზრები და ექსპორტის პოტენციალის გაზრდა. დღეს ძალიან გვჭირდება დამატებითი უცხოური ინვესტიციები. სწორედ ამ საკითხებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, ამისთვის უნდა გამოიყენოთ უნიკალური შანსი, რაც გაგვაჩნია რუსეთთან მიმართებაში. თორემ ისე მოხდება, რომ ვიდგებით ამ პოლიტიკურ პოზაში. ხელისუფლება დააყენებს პოლიტიკურ საკითხებს, იკეკლუცებს და საბოლოოდ, პირდაპირ ვთქვათ, ამერიკის და ევროკავშირის დაძალებას ნუ დავარქმევთ, მაგრამ დაჟინებული თხოვნით მაინც დავთანხმდებით ისე, რომ შეიძლება ვერავითარი სარგებელი ვერ ნახოს ვერც სახელმწიფომ და ვერც საქართველოს მოქალაქეებმა. ამიტომ თავიდანვე მივუდგეთ საქმიანად, პრაგმატულად და მაქსიმალური წამოვიღოთ, რისი წამოღებაც შეიძლება ამ მოლაპარაკებებიდან.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ონიშენკო არ გამორიცხავს რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებას. ფიქრობთ, რომ ონიშენკოს ეს განცხადება მოლაპარაკებების წინაპირობაა?***

— დიახ, ვფიქრობ, რუსეთი ამ საკითხით ივაჭრებს და თუ ივაჭრებს, უნდა გამოვიყენოთ და არა ისე, რომ ეს ჩვენთვის არაფერს არ წარმოადგენს. ძალიან დიდი ზარალი ნახა საქართველომ 2006 წელს, როდესაც ერთბაშად დაიკეტა რუსული ბაზრები და საქართველოს ეკონომიკას მილიარდობით დოლარის შემოსავალი დააკლდა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება. ფაქტია, ბევრი ჩვენი მოქალაქისთვის ბევრად უფრო კომფორტულია თუნდაც ენის ბარიერის, სხვა გამოცდილების თვალსაზრისით რუსეთის სივრცეში გადაადგილება, იქ ეკონომიკური საქმიანობა, თუნდაც ნათესავებთან თუ მეგობრებთან ურთიერთობა, რაც ხელს შეუწყობს აქედან ექსპორტის გაზრდას და ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკურ აქტივობას. ამიტომ ეს ყველაფერი ჩვენი მოქალაქეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, თუ სატრანსპორტო მიმოსვლა თავისუფლად აღდგა, ზუგდიდის აეროპორტს შეიძლება მართლაც სერიოზული დატვირთვა მიეცეს. ტრადიციულად სამეგრელოს, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ძალიან აქტიური მიმოსვლა ჰქონდა რუსეთის ტერიტორიაზე, ეკონომიკური აქტიურობითაც გამოირჩეოდნენ. არ გამოვრიცხავ, მალე რეისები დაინიშნოს რუსეთის სხვადასხვა ქალაქის მიმართულებებით თუ აეროპორტი ამოქმედდა ზუგდიდიდან, ქუთაისიდან და ფოთიდან.

## სახალხო კრების ლიდერები ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ



სახალხო კრების ლიდერები ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრისას სახალხო კრების ლიდერებმა ნონა გაფრინდაშვილმა, ირაკლი ბათიაშვილმა, ნინო ბურჯანაძემ, გია ბურჯანაძემ და ლუკა კურტანიძემ ახალგაზრდებისგან სამომავლო გეგმებისა და აქტივობების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

სახალხო კრების ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელ აკაკი ჩოფლიანის თქმით, ის თანამოაზრეებთან ერთად საქართველოს ყველა რეგიონში აპირებს ახალგაზრდებთან შეხვედრას და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

— ჩვენ ყველა ახალგაზრდას შევხვდებით და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ ობიექტურ ინფორმაციას მივაწვდით, — განაცხადა აკაკი ჩოფლიანმა.

შეხვედრის დროს “დემოკრატილი მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ „სახალხო კრების“ ახალგაზრდულ ორგანიზაციას ღირსეული წევრები ჰყავს, რომლებიც თავიანთი აქტივობით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში.

სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის ნონა გაფრინდაშვილის ინფორმაციით, ის ახალგაზრდებთან ერთად უახლოეს დღეებში სამეგრელოში აპირებს გამგზავრებას, სადაც სახალხო კრების სამომავლო გეგმებს სამეგრელოში მცხოვრებ ახლაგაზრდებსაც გააცნობს.

**ინტერპრესნიუსი**

## ეროვნულმა საბჭომ ახალი ოფისის პრეზენტაცია გამართა



ეროვნულმა საბჭომ ახალი ოფისის პრეზენტაცია გამართა. ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური პრეზენტაციაზე ჩოხით მივიდა.

მისი თქმით, ეროვნულმა საბჭომ დაასრულა რეორგანიზაციის პროცესი, დღეიდან სრულფასოვან პოლიტიკურ საქმიანობას განაახლებენ და ყველა ჟურნალისტისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მათი ოფისის კარი ღია იქნება.

ძიძიგურის განცხადებით, ოფისის პრეზენტაცია 8 მარტს დაამთხვიეს, რადგან უნდოდათ ქალებისთვის ქალთა დღის მილოცვა.

ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა ჟურნალისტ ქალბატონებს ყვავილები აჩუქეს და 8 მარტი მიულოცეს.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის მნიშვნელოვანია

დასაწყისი მე-2 გვერდზე

— პირველი გახლავთ ის, რომ რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტა. მე ვფიქრობ, მოლაპარაკებების სწორად წარმართვის შემთხვევაში რუსეთის ამაზე წამოყვანა შეიძლება და, გარდა ამისა, შესაძლებელია კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო მონიტორინგის გაძლიერების მოთხოვნა. რა სახით და როგორ, ეს უკვე ტექნიკური დეტალებია, თუმცა ასეთი პაკეტი შესაძლებელია მოლაპარაკების მაგიდაზე დაიდოს. იგივე შეიძლება დევნილების თემაც წამოიწიოს, მაგრამ ის, რომ როკის გვირაბთან ან ფსოუზე ქართველი მებაჟეები დადგნენ, ეს არის აბსურდული მოთხოვნა, არა მხოლოდ იმიტომ, რუსეთი წამოვა თუ არა ამაზე. რუსეთმა, დავუშვათ, თქვა თანხმობა, მაგრამ რანაირად აპირებენ ამ მებაჟეების იქ ჩაყვანას, დესანტის გადასხმას აპირებენ? ჩვენ კი ვიცით, რომ ცხინვალისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმებია, მაგრამ იმათ აღარ ეკითხებიან? ანუ ამაზე რუსეთის თანხმობის შემთხვევაშიც კი ამ ყველაფრის ტექნიკური მექანიზმი არ არსებობს. იმის მოთხოვნა, რომ მოდი ჩემი მებაჟე შენს ტერიტორიაზე დააყენე, აბსურდულია. რანაირად აპირებენ ამ ყველაფერს, მე, სიმართლე გითხრათ, არ მესმის.



***— თქვით, რომ საქართველო რუსეთის ბლოკირების შემთხვევაში არა მარტო რუსეთს, არამედ სხვა ქვეყნებსაც გაალიზიანებს. იმ დროს, როდესაც ყველასათვის კარგადაა ცნობილი საქართველო-რუსეთის კონფლიქტი, რატომ უნდა იყოს ქართული მხარის ეს შესაძლო პოზიცია მათთვის გამაღიზიანებელი?***

— ყველა ქვეყანას აქვს თავისი ინტერესი. პოზიციებით ხომ არ ისაზღვრება საერთაშორისო პოლიტიკა. შეიძლება, იმ სხვებმა ჩათვალონ, რომ საქართველო სწორად იქცევა, მაგრამ პოლიტიკა ხომ არ არის რომანტიკა, პოლიტიკას აქვს თავისი ინტერესები. ის, რომ რუსეთი გაწევრიანდეს ამ ორგანიზაციაში, არის მათი ინტერესები. ისინი სულაც არ ფიქრობენ სამართლიანობაზე და სამართლიანობა არ არის მთავარი განმსაზღვრელი საერთაშორისო პოლიტიკისა. გაღიზიანებიან იმიტომ, რომ მათი ინტერესი იქნება შელახული, მტყუან-მართლის გარჩევას კი არ დაიწყებენ. ჩვენ რატომღაც სულ გვგონია, რომ რუსეთს ვილაცა დასჯის, იმიტომ რომ ჩვენ ვართ მართლები. ასე არ ხდება. დიდი ბოდიში, მაგრამ იგივე ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი კადაფისაც ბოლო წუთამდე მხარს უჭერდნენ, მაგრამ, რომ დასჭირდათ, მერე ხელი შეახოცეს. რატომღაც მანამდე ვერც კადაფის და ვერც მუბარაქის დიქტატორობას ვერ ხედავდნენ. სამართლიანობისთვის ბრძოლა არ არის განმსაზღვრელი მსოფლიო პოლიტიკის. ინტერესები განსაზღვრავს ყველაფერს. მათ ინტერესშია, რომ რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანდეს.

***— მაშინ რას ნიშნავს ამერიკისა და ჩვენი მეგობარი ქვეყნების განცხადებები, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს და ასე შემდეგ, მაშინ ამ შემთხვევაში მათი პოზიციაც საქართველოს მიმართ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.***

— საერთაშორისო პოლიტიკაში ყველა უყურებს თავის ინტერესს. ეს სწორია. ერთი ჩვენ ვერ ვისწავლეთ, რომ ჩვენი ინტერესი დავაყენოთ და საკუთარი ქვეყნის პრიორიტეტი განვსაზღვროთ, მათ შორის, ავღანეთში გავაგზავნოთ თუ არა ჯარები და ასე შემდეგ, ანუ საკუთარ ინტერესებს ვუყურებდეთ და არა ვილაცის ინტერესებს ვატარებდეთ, ჩვენ ვერ ვისწავლეთ ეს, თორემ ყველამ ძალიან კარგად იცის საკუთარი ინტერესის გატარება. გასაგებია, რომ მათ აქვთ თავიანთი პოზიცია საქართველოსთან მიმართებით, რომ რუსეთი არის ოკუპანტი, მაგრამ რეალურად მათ ძალიან ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა აქვთ რუსეთთან, რა უნდა ქნან, გაებუტონ რუსეთს საქართველოს გამო? არ ხდება ასე პოლიტიკაში. ჩვენ გვაქვს ილუზია, რომ ასე უნდა მოხდეს. ასე სინამდვილეში არ ხდება. შეიძლება, ისეთი გეოპოლიტიკური ვითარება ჩამოყალიბდეს, რომ საერთოდ საქართველო გაიცვალოს უფრო მნიშვნელოვან რალაცაზე. ამაშიც ვერ გაამტყუნებ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რომანტიზმი პოლიტიკაში არ არსებობს.

***— ეს ორმაგი სტანდარტებით თამაში გამოდის ჩვენი მეგობრების მხრიდან...***

— რატომ არის ორმაგი სტანდარტები? დაუშვათ, თქვენ ხართ საქართველო და პრობლემები შეიქმნა სომხეთში ან აზერბაიჯანში, თქვენს ინტერესებზე იფიქრებთ თუ იმის გარჩევას დაიწყებთ, ვინ მართალია და ვინ მტყუანი? ყველა უყურებს თავის პოზიციებს და ასეც უნდა იყოს. ყველა ქვეყანას აქვს თავისი ინტერესები, არსებობს რაღაც ფასეულობათა სისტემა, მაგრამ ფასეულობათა სისტემა ტარდება რეალობის ფარგლებში და არა უპირობოდ. უპირობოდ ფასეულობათა სისტემის გატარება პოლიტიკა აღარ არის, ეს არის ზნეობრივი ფრონტი, რაც პოლიტიკისთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი. სიტყვა და საქმე პოლიტიკაში ყოველთვის არ არის ერთი. განცხადებებიც გარკველწილად ხარკის გადახდაა. ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ არ ცნობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფოებს. ეს ჩვენთვის რაღაცას ნიშნავს. ქმედებებში რა უნდა გააკეთონ, მათ, ჩვენგან განსხვავებით, კარგად იციან, რუსეთთან ისეთი ლაპარაკი რომ არ შეიძლება, როგორც ჩვენ ვცდილობთ, ველაპარაკოთ. რამის თავი რომ გვქონდეს, კიდევ ჯანდაბას. შეიძლება, კიდევაც არ მოსწონთ ის რუსეთი, მაგრამ ეფერებიან, იმიტომ რომ სხვანაირად არ შეიძლება, ასეთი მიდგომა კი არ ნიშნავს ორმაგ სტანდარტებს. რა ქნან, საქართველოს გამო ომი დაიწყონ და საკუთარი სახელმწიფოებრიობა დააზარალონ? არ ეკითხებით იმ ქვეყნების საზოგადოებებს? ორმაგი სტანდარტი იყო მაშინ, როდესაც დასავლეთს ჰყავდა კადაფი, მუბარაქი და თვალს ხუჭავდა ყველაფერზე, მეტიც, არც ჩვენთან არის ყველაფერი წესრიგში ფასეულობათა სისტემის მხრივ, რასაც ქადაგებს დასავლეთის დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი. ჩვენთან არის ეს სიტუაცია? ხომ გვიხუჭავენ ჩვენც თვალებს რაღაცებზე.

***— ანუ შედეგის მომტანი ბერნის მოლაპარაკებებში იქნება მხოლოდ ეკონომიკური საკითხები?***

— შედეგის მომტანი იქნება რუსული ბაზრის გახსნა და ხელოვნური ბარიერების მოხსნა ქართულ პროდუქციაზე და საერთაშორისო მისიების გააქტიურების უზრუნველყოფა კონფლიქტურ ტერიტორიებზე. მე ვფიქრობ, ეს იქნება ადეკვატური ფასი. შეიძლება, ჩვენმა ხელისუფლებამ მეტს მიაღწიოს. ნამდვილად გამიხარდება.

# ჯოხარ დუდაევის ვაჟი, დეგი დუდაევი, ლიტვაში დააკავეს



ჯოხარ დუდაევის უმცროსი ვაჟი, დეგი დუდაევი, ლიტვაში დააკავეს. ინციდენტი 2 მარტს მოხდა, ინფორმაცია კი მხოლოდ გუშინ, 8 მარტს გახმაურდა.

27 წლის დეგი დუდაევი ვილნიუსი-კლაიპედას ტრასაზე დააკავეს. მას თან 7 ყალბი ლიტვური პასპორტი აღმოაჩნდა. ვარაუდობენ, რომ ის იყო შუამავალი ყალბი პასპორტების დამამზადებლებსა და მათ მყიდველებს შორის.

იმავე დღეს, 2 მარტს, კაუნასში დააკავეს 4 მამაკაცი. ერთ-ერთი მათგანის ბინის ჩხრეკის დროს ბინაში აღმოაჩინეს ფაბრიკა, რომელიც ყალბ დოკუმენტებს ამზადებდა, სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეთა ყალბი პასპორტები და ყალბი საკრედიტო ბარათები. დეგი დუდაევი და ეს 4 მამაკაცი 2 დღე დაპატიმრებული ჰყავდათ, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს და გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს.

ჯოხარ დუდაევის ოჯახი ვილნიუსში ცხოვრობს. მის უფროს ვაჟს, ავლურს, ლიტვის მოქალაქეობა აქვს, ხოლო დეგი საქართველოს მოქალაქეა.

2009 წლის ბოლოს დეგი დუდაევმა მიიღო მონაწილეობა ტელეიმედის შოუში „სიმართლის დრო", სადაც მან 20.000 ლარი მოიგო.

**ათბ-ნიუსი**

# ბოკერია სააკაშვილისთვის ჯერ საფრთხეს არ წარმოადგენს

## საქართველოს იმიტირებული ოპოზიცია ჰყავს

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მო რაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგა ე დარწმუნებულია, რომ წინასწარ დაანონსებული რევოლუცია არ შედგება. მისი თქმით, ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლების ანტურაჟია, საქართველოსთვის სასიკეთო ცვლილებებს ვერ მოახდენს.**

რაც შეეხება ბოკერია-ალასანიას შეხვედრებს, მამუკა გიორგაძე დარწმუნებულია, რომ ეს შეხვედრები გარკვეული სპეცსამსახურების ინტერესებშია და რომ ბოკერია ოპოზიციაზე მეტად აქტიურობს სააკაშვილის ხელისუფლების ჩასანაცვლებლად.

არსებობს თუ არა სააკაშვილის ხელისუფლების ჩანაცვლების გეგმა და არის თუ არა გამოკვეთილი რუსული სპეცსამსახურებისთვის, ვისზე უნდა გააკეთონ მათ აქცენტი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სახალხო პარტიის ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.

***— ბატონო მამუკა, ბოლო დღეებში ქართული პარტიის ლიდერები და ნინო ბურჯანაძე საქართველოში პროცესების რევოლუციურ განვითარებაზე მიანიშნებენ. არის ამის რესურსი და საზოგადოებრივი განწყობა?***

— ჩვენ პირველად არ გვესმის ამ პიროვნებების მხრიდან ასეთი მყვირალა განცხადებები. ეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიურობაა. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ის განცხადებები, რასაც ეს ლიდერები ადრე აკეთებდნენ. ეს ჩეულებრივი რეალობაა საქართველოსი, მაგრამ მთელი ამდენი ხნის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ ვნახეთ რაიმე კონკრეტული ქმედება. როცა ქმედებაზე მიდგებოდა საუბარი, ჩვენ მაშინ იგივე ადამიანები სიამაყით გვეუბნებოდნენ: ფოთოლიც არ შერხეულა, ბუჩქი არ გადათელილა, პიკეტი არ გაგვიკეთებია მთლიანად, ჯერ ჩვენ საჩვენებელ პიკეტებს ვაკეთებთ და ა.შ. ასე რომ, რაიმე განსაკუთრებულს ამ განცხადებებში ვერ ვხედავ. გარდა იმისა, რომ ხელისუფლების სურვილია, რაც შეიძლება ტირაჟირება გაუკეთოს ამ მყვირალა განცხადებებს. ხელისუფლება ადრეც აპიარებდა ასეთ განცხადებებს. დღესაც ისე წარმოაჩენს, თითქოს პირველად კეთდება ასეთი განცხადებები. ღიმილისმომგვრელია, როდესაც ხელისუფლება ტირაჟირებას უკეთებს ამა თუ იმ პოლიტიკოსის მხრიდან ხელისუფლების დამხობის მოწოდებებს. ელემენტარულად, სისხლის სამართლის კოდექსში არის შესაბამისი მუხლი და ხელისუფლებას თავისუფლად შეუძლია ეს მუხლი აამუშაოს. ის კი პირიქით მოქმედებს: ტირაჟირებას უკეთებს ანტისახელისუფლო განცხადებებს. ისევე როგორც ტირაჟირებას უკეთებს ამა თუ იმ პოლიტიკოსის კავშირებს რუსეთის სპეცსამსახურებთან, ამა თუ იმ პოლიტიკოსის ფინანსურ კავშირებს ოლიგარქებთან თუ დამნაშავე კლანებთან. ხელისუფლებას ეს პრობლემად რომ მიაჩნდეს, სს კოდექსის შესაბამისი მუხლით იმოქმედებდა, მაგრამ ჟარგონით რომ ვთქვათ, „ნევიჟუს" უკეთებს. ბევრი ასეთი პრეცედენტის დასახელება შეგვიძლია. საბოლოო ჯამში, გარკვეულწილად ჩანს, რომ ხელისუფლება წინასწარ გამოცხადებულ რევოლუციებს თვითონვე უკეთებს დაანონსებას.

***— სომხეთში განვითარებულმა მოვლენებმა ზოგს იმედი გაუჩინა, რომ საპროტესტო ტალღა საქართველომდეც მოაღწევს.***

— ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ამდენი ხნის განმავლობაში პრაქტიკულად დღეს არსებული სატელევიზიო ოპოზიცია მსგავსი განცხადებებით ბევრჯერ გამოდიოდა. ელემენტარულად მათი მოვალეობაა, რომ დუღილის გარკვეული ტემპერატურა შეინარჩუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებას ყოველგვარი მოტივაცია და საბაბი გაუქრება საკუთარი მომხრეების კონსოლიდირებისთვის. აგრეთვე შემოკრება-დაშინებისთვის. პრაქტიკულად დღევანდელი ოპოზიცია ასრულებს იმ ფუნქციას, რომ ხელისუფლება უზრუნველყოს საბაბით. გარკვეული კონტრრევოლუციების დროს საკუთერი აუცილებლობა დაუმტკიცოს საზოგადებას. ხელისუფლება არ ამბობს, უკვე რომ კარგია. ის ამბობს, რომ ოპოზიციას ჯობია. ამ მხრივ შესადარებელი თუ არ იქნება, ბუნებრივია, როგორ გამოჩნდება ხელისუფლების დადებითი მხარეები. მეორე მხრივ, რომელიღაც გაზაფხულზე ან შემოდგომაზე რაღაც მოხდება საქართველოში. ამას თქმა რად უნდა. ხელისუფლებას, რომელიც გრძნობს, რომ მორალური უპირატესობა აქვს ამ სატელევიზიო ოპოზიციაზე, ბუნებრივია, არ ეშინია არც ამ განცხადებების, არც ამ ფორიაქის. იმიტომ, რომ ჭიქაში გამოწვეული ქარიშხალი მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკურ ველზე პრაქტიკულად მართვადი პოლიტიკური ოპონენტები არიან დარჩენილი. ისინი უფრო მეტად სატელევიზიო პოლიტიკოსები არიან, ინტერვიუს ლომები უფრო არიან, ვიდრე რეალური მებრძოლები. მათ ეს არაერთხელ დაამტკიცეს. შესაბამისად, ხელისუფლება არანაირ რეაგირებას არ აკეთებს. მსგავსი განცხადებები აწყობს კიდეც.

***— ბოდით ვისაუბროთ ბოკერია-ალასანიას შეხვედრებზე. რას ნიშნავს ამ ორი პოლიტიკოსის შეხვედრები და განცხადებები იმაზე, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები რიგ საკითხებზე აუცილებელია.***

— ჯერ შევეხები ერთ თემას — რა იმიტირებული პარლამენტი, პრეზიდენტი და სასამართლოც გვყავს, ასეთივე იმიტირებული ოპოზიციაა. ეს ოპოზიცია უნდა იყოს მრავალგვარი. მათ შორის, კონსტრუქციული, რადიკალური. ჩვენ ხომ რეალურად სტრუქტურები არ გვაქვს. ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს სპექტაკლისათვის. ეს კეთდება იმისთვის, რომ გარეგნულად პოლიტიკური ბაზარი იყოს გაჯერებული, რათა მოსახლეობა უფრო იოლად მოტყუვდეს და მისი გემოვნებისდა მიხედვით გადანაწილდნენ. რაც შეეხება ბოკერია-ალასანიას შეხვედრებს, ბუნებრივია, ამ პროცესების მიღმა, რა თქმა უნდა, გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ფიქრობენ ცოტა უფრო სერიოზულად და ფიქრობენ ბრძოლას ხელისუფლებისათვის. მათ ძალიან კარგად იციან, დღეს თუ არა ხვალ, პატრონი — ამ შემთხვევაში, ძირითადად რუსეთის სპეცსამსახურები, დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით აქ აამუშავებს მორიგ პროექტს, რასაც სააკაშვილის ხელისუფლების ჩანაცვლება ჰქვია. რუსეთის სპეცსამსახურებს ამ ხელისუფლების ჩანაცვლების მექანიზმები გააჩნია. მაგრამ გადაწყვეტილება ალბათ საერთაშორისო ორგანიზაციებთან იქნება შეთანხმებული. შესაბამისად, დაიწყება მორიგი სპექტაკლი. მთელი ეს შეხვედრები, გულზე მუშტების ბრახუნი და ა.შ. მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ამ სპექტაკლის დროს ამ პიროვნებებმა მიიღონ რაც შეიძლება უკეთესი როლი.



***— გიგა ბოკერია უფრო აქტიურად ემზადება სააკაშვილის ჩასანაცვლებლად, ვიდრე ოპოზიცია?***

— ბუნებრივია. ბოკერია უფრო ორგანიზაციული ტიპაჟია. ის უფრო მეტად არის გასული შესაბამის სპეცსამსახურებზე. ბოკერიას უფრო დამჯდარი, თანმიმდევრული იმიჯი აქვს. ყველამ ძალიან კარგად იცის მისი შეხედულებები და მისი დამოკიდებულება საკითხების მიმართ. ბუნებრივია, ის ცდილობს მის გარშემო ისეთი ჯგუფი შექმნას, რომელიც მთავარ პარტიას შეასრულებს იმ ოპერაში, რომელიც დაგეგმილია საქართველოში. ეს ყველაფერი გაკეთდება არა საქართველოს გადასარჩენად, არამედ ხელისუფლებაში მოსასვლელად. ბოკერიამ უნდა დაუმტკიცოს თავის პატრონებს, რომ ის უფრო მორჩილი იქნება პატრონებისთვის. ამავე დროს უნდა დაუმტკიცოს, რომ ის ქმედუნარიანია და მას შეუძლია არა მარტო დაემორჩილოს პატრონს, არამედ რეალურად შეუსრულოს მას ნებისმიერი სურვილი. თორემ დღეს ანტიქართულ პროექტში მონაწილეობის მრავალი მსურველი არსებობს. მაგრამ ამ პატრონებს არა მარტო ამ ხალხის მზადყოფნა სჭირდება, არამედ უნდა დარწმუნდნენ, რომ ესენი ამ საქმის გამკეთებლები არიან. სანამ ამაში არ დაარწმუნებენ, სააკაშვილი მათი მხრიდან მუდმივად ხელშეწყობილი იქნება. მათ უნდა დაუმტკიცონ, რომ სააკაშვილზე უკეთესად მოემსახურებიან გარე ძალებს.

***— სააკაშვილისთვის ბოკერიას ეს კავშირები უცხოურ სპეცსამსახურებთან, როგორც თქვენ ბრძანეთ, მისაღებია თუ უფრო საშიში? იქნებ ბოკერია სწორედ სააკაშვილის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს?***

— ამ შემთხვევაში სააკაშვილი ერთი რამით არის დაინტერესებული, რომ პატრონებს, რუსეთის სპეცსამსახურებს მუდმივად დაუმტკიცოს საკუთარი აუცილებლობა და სანამ ის საკუთარ აუცილებლობას უმტკიცებს, მანამდე მისთვის გიგა ბოკერია არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. ამიტომ სააკაშვილი ყველას საშუალებას აძლევს, გარკვეულწილად იმოქმედოს, კონტროლის ქვეშ ჰყავს, მაგრამ ამავე დროს სანამ თვითონ მყარად გრძნობს თავს პატრონებთან, მანამდე რაიმე განსაკუთრებულ და კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, მის გარშემო ვინ არიან. სააკაშვილმა ხომ იცის, შევარდნაძის დრის თვითონ როგორ მიიღო რუსეთიდან ნებართვა. ახლა მისი მთავარი ამოცანაა, ეს ნებართვა არ გაიცეს, ან ეს ნებართვა დაბლოკოს. ხოლო შიგნით ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ რომელიმე ერთმა კლანმა არ მოახერხოს ზედმეტი ძალაუფლების კონცენტრირება საკუთარ ხელში. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა სააკაშვილს პრობლემა შეექმნას.

# ხალხს ხელისუფლების დამხობისკენ არ წავიყვანთ

**ჩვენი გზა ალიან გრ ელი, შრომატევადი და უმადურია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ასეთი წნეხი ხელისუფლებაზე საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით არასდროს მომხდარა**

ნანა მიშელაშვილი

**„თავისუფალი დემოკრატები" არ გამორიცხავენ, რომ გარკვეულ საპროტესტო აქციებში არა მარტო მონაწილეობა მიიღონ, არამედ ასეთი აქციების წამომწყებნი თავად გახდნენ. „თავისუფალი დემოკრატების" წევრი გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ საარჩევნო თემატიკით დაწყებული, სოციალური საკითხებით დამთავრებული, ნებისმიერ თემაზე შეიძლება ქუჩაში გამოვიდნენ.**

გიორგი ცაგარეიშვილი იმასაც ამბობს, რომ მათი მხრიდან რევოლუციისკენ მოწოდება არასდროს იქნება გაჟღერებული.

**„ახალი თაობა" დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილს ესაუბრა.**

***— ოპოზიციის ნაწილი გაზაფხულზე აქციების დაწყებას აანონსებს, მეორე ნაწილი საარჩევნო კოდექსზე მუშაობს. რამდენად შედეგისმომტანი იქნება წინასწარ გამოცხადებული საპროტესტო აქციები?***

— დაანონსებულ აქციებზე რა უნდა ვთქვა? როდესაც რაღაც ნაბიჯებს ვდგამთ, შედეგი უნდა ვიცოდეთ, რით დამთავრდება ეს ყველაფერი. მთელი ეს დღეები გაფაციცებით ვუსმენ იმ ადამიანების კომენტარებს, რომლებიც იქადნებიან, რომ მოაწყობენ რევოლუციას. ერთ-ერთი ოპოზიციონერი ლიდერი ამბობს, რომ ნებისმიერ ფასად ამ ხელისუფლებას შეცვლიან.

***— ამას ვინ ამბობს?***

— „ქართული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი. ამასვე ამბობს სახალხო კრების ზოგიერთი წარმომადგენელი. კანონისმიერი კითხვა ჩნდება: რა არის ამ ყველაფრის ფასი? თუ ფასია სისხლისღვრა, მე, როგორც რიგით მოქალაქეს, ასეთი ფასის გადახდა ამ ცვლილებებისთვის არ მინდა. ნამდვილად არ მინდა, იმიტომ რომ, ამას რა მოჰყვება, არავინ იცის, უფრო სწორად, ძალიან ბევრმა იცის, რაც მოჰყვება. მოჰყვება სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც არ იქნება ეგვიპტის სცენარით წარმართული, ერთი და ორი კვირით ეს არ შემოიფარგლება, იქიდან გამომდინარე, რა ვითარებაშიც ჩვენი ქვეყანაა ჩავარდნილი, გეოპოლიტიკურ ფონსა და ჩვენს სამეზობლოს ვგულისხმობ. კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა: ეგვიპტეს მიწები არ ჰქონდა დაკარგული, არც სეპარატისტული წარმომადგენლები ჰყავთ, არც სხვა ქვეყნის ჯარები ედგათ საკუთარ ტერიტორიაზე. ასეთი პარალელების გავლება, რომ რაც ეგვიპტეში მოხდა, აქაც მოხდება, არასწორია. იქნებ ვინმემ მითხრას, რომელი პოლიტიკური პარტია ედგა სათავეში ეგვიპტეში გამოსვლებს, ან რომელი პოლიტიკური ლიდერი? ეს იყო ხალხოსნური მოძრაობა, რომელიც აზვირთდა და რომელსაც ბოლოს პოლიტიკური ლიდერები ჩაუდგნენ სათავეში. საქართველოში პოლიტიკური კულტურის დამამკვიდრებლები, ავად თუ კარგად, მოგვწონს თუ არა, ვართ პოლიტიკოსები, ანუ პარტიული დემოკრატია ჩანასახობრივ მდგომარეობაში, მაგრამ მაინც არსებობს საქართველოში, განსხვავებით ეგვიპტის, ტუნისისა და ლიბიისგან, სადაც ერთი პარტიაც არ არსებობდა და, თუ არსებობდა, იატაკქვეშეთში იყო. ჩვენ ამ მდგომარეობაში არა ვართ. ამიტომ ასე შედარება ამ ქვეყნებთან სწორი არ არის. გავანებოთ თავი, რომ ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და იქ არიან მუსლიმანები. ალმსარებლობას ჰქონდა ამ გამოსვლებში გადამწყვეტი და უნიკალური ნიშან-თვისება. მუსლიმანური პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, მათ შორის, ფეისბუქის დახმარებით იყო ეგვიპტეში საპროტესტო ტალღა და მოძრაობა აგორებული. ერთადერთი ნათელი, თვალშისაცემი კავშირი ეს არის უმძიმესი სოციალური ფონი, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი. იქაც და აქაც ავტოკრატიული მმართველები უდგანან ქვეყანას სათავეში.

***— გასაგებია, რომ თქვენ რევოლუციური გზით ხელისუფლების შეცვლაში არ მიიღებთ მონაწილეობას, მაგრამ, საპროტესტო აქციები თუ დაიწყება, თქვენი პარტია მონაწილეობას მიიღებს?***

— მოვლენის არსს მინდა ჩავწვდე, შედეგი მინდა დავინახო. ამ რამდენიმე დღის წინ „ქართული პარტიის" ერთ-ერთ ლიდერს ვუსმენდი, რომელიც პირველ არხზე გამოდიოდა. ჟურნალისტის მიერ მრავალჯერ დასმულ შეკითხვაზე — როგორ აპირებთ ხელისუფლების შეცვლას? — პასუხი არ იყო გაცემული. ჩემთვის ამ კითხვაზე პასუხი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. თავის დროზე 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციაზე" ვთქვი, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის უბედურება და ამის გამო კინაღამ ჩავიქოლე. ეს არის უკანგადადგმული ნაბიჯი. ელემენტარულად, ხომ უნდა დაფიქრდე, ვინ აკეთებს ამ ყველაფერს და რა მიზნისთვის.

***— ახლა ამ მიზანს ვერ ხედავთ, რისთვის უნდა გამოვიდნენ ოპოზიციური პარტიები საპროტესტოდ?***

— მე პოლიტიკაში მაკიაველიზმის მიმდევარი არასდროს ვყოფილვარ. ჩემი მიზანი ნებისმიერ საშუალებას არ ამართლებს. იმას კი არ ვამბობ, რომ ცვლილებები არ უნდა მოხდეს, სასწრაფოდ არ უნდა დადგეს გარდაქმნების ჟამი, ამას 2003 წლის ნოემბრის მოვლენებიდან მოყოლებული გავიძახი, მაგრამ, ხომ გააჩნია, რა საშუალებით მოდიხარ რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სათავეში. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა კონტრარგუმენტი მითხრა, რომ „ვარდების რევოლუციის" დროს სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ, იმის შემდეგ რაც ქვეყანაში სისხლისღვრები მოხდა, ამ რევოლუციის შედეგი არ იყო? დაწყებული გირგვლიანის მკვლელობით, ცხინვალის ტრაგედიით დამთავრებული.

***— კონკრეტულად მიპასუხეთ, საპროტესტო აქციებში გამოსავალს, შედეგს ვერ ხედავს თქვენი პარტია?***



— საპროტესტო აქციები ამ ქვეყანაში იმართებოდა და მომავალშიც გაიმართება. ეს არის ჩვენი მოქალაქეების კონსტიტუციური უფლება. ჩვენი პარტიის ლიდერები გასულ თვეებში ამ აქციების ერთ-ერთი დამწყებები იყვნენ. არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული სახის საპროტესტო აქციები გაიმართოს, სადაც ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას და რომლის დამწყებები ჩვენ ვიქნებით. ჩვენი მხრიდან რევოლუციისკენ მოწოდება არ იქნება დაყენებული! ხალხს ჩვენ ხელისუფლების დამხობისკენ არ წავიყვანთ, რადგან ამას ძალიან დიდი მსხვერპლი მოჰყვება. თუკი ხელისუფლებაში მოსვლის ფასი არის უბედურება, ადამიანების დაფერფლილი და ჩამქრალი სიცოცხლე, მე არ მინდა, ეს ფასი გადავიხადო. ჩვენი გზა ძალიან გრძელი, შრომატევადი და უმადურია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ასეთი წნეხი ხელისუფლებაზე საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით არასდროს მომხდარა. ხელისუფლებასთან მუდმივი დიალოგი, რომელიც საკმაოდ რთული, ძნელი და მედიისგან გაკრიტიკებულია, საბოლოო შედეგს მოიტანს.

***— რაზე შეიძლება გამოხვიდეთ ქუჩაში?***

— ნებისმიერ საკითხზე, დაწყებული საარჩევნო თემატიკით, დამთავრებული სოციალური პრობლემატიკით. ნებისმიერ თემაზე შეიძლება გამოვიდნენ „თავისუფალი დემოკრატები" პროტესტის გამოსახატავად.

***— ნებისმიერ პარტიასთან ერთად გამოხვალთ ქუჩაში?***

— რომ გითხრათ, რომელიმე პარტიასთან ერთად რაღაცას ვგეგმავთ-მეთქი, მოგატყუებთ.

***— საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მისაღებად რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან ახლა კონსულტაციები გაქვთ?***

— არც ერთ პარტიასთან. ირაკლი ალასანიამ, ჩვენი პარტიის წევრებმა ცალსახად განაცხადეს, რომ თუ ქვეყანაში პრობლემები უახლოეს დღეებში არ გადაწყდება ისე, როგორც ქართველ ხალხს სჭირდება, არ არის გამორიცხული, მიზნობრივი აქციები ჩავატაროთ კონკრეტული შედეგის მისაღწევად, რათა მთელ მსოფლიოს დავანახვოთ, რომ ქართველ ხალხს სჭირდება თავისუფალი არჩევანი, დემოკრატიული საარჩევნო კოდექსი, სჭირდება ის, რისთვისაც 2007 წლის 2 ნოემბერს ხალხი ქუჩაში გამოვიყვანეთ. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ 2 ნოემბერს ხალხის ქუჩაში გამოსვლის მიზეზი არჩევნები და საარჩევნო კოდექსი იყო. მერე წამოვიდა გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნები.

***— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც „თავისუფალი დემოკრატები" შეიძლება გამოხვიდეთ, არის საარჩევნო კოდექსი...***

— დიახ, საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესება.

***— სხვა კიდევ რა საკითხი შეიძლება გახდეს თქვენი საპროტესტო გამოსვლის მიზეზი?***

— ნებისმიერი საკითხი, რომელიც საჭირბოროტოა ან ასეთად მოიაზრებს მოსახლეობა.

***— ოპოზიციურ რვიანში არის ამაზე საუბარი, რომ თუ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე არ წამოვა, ოპოზიციური რვიანი ან რამდენიმე პარტია აქციებს დაიწყებთ?***

— ამასთან დაკავშირებით ოპოზიციურ რვიანში საუბარი ჯერ არ შემდგარა, ამასთან დაკავშირებით ჯერ კონსულტაცია არავისთან გვქონია, მაგრამ ტყუილად არ გავაჟღერეთ და ბატონ ირაკლი ალასანიას ტყუილად არაფერი უთქვამს. პარტიის შიგნით მოთათბირების შემდეგ ერთსულოვნად გადაწყდა, რომ თუ არ იქნება გაუმჯობესებული ქვეყანაში სიტუაცია, მათ შორის დემოკრატიული არჩევნების მიმართულებით, ამგვარ აქციებს არ გამოვრიცხავთ. ძალიან გთხოვთ, ნურავინ იფიქრებს, რომ „თავისუფალ დემოკრატებში" ბიჭები და გოგონები თეთრი ხელთათმანებით შევიკრიბეთ და ქუჩაში გამოსვლა გვერიდება. ვისზეა საუბარი? ჩემზეა საუბარი? ქუჩაში ვერ გამოვალ? ზურაბ აბაშიძეზეა საუბარი, რომელიც კინაღამ მოკლეს მიტინგებზე? ან იმ ადამიანებზეა საუბარი, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ „საკნების" ქალაქის დროს ცნობილ გამოსვლებს? ან იმ კაცზეა საუბარი, რომელიც ტრაპიდან სახლში ოჯახის სანახავად კი არ წავიდა, არამედ მიტინგზე მოვიდა? ირაკლი ალასანიას ვგულისხმობ.

***— თქვენი ოპონენტების ნაწილი ირაკლი ალასანიას საყვედურობს, რომ ხელისუფლებასთან გაუთავებელ დიალოგში ყოფნა ურჩევნია აქციებზე გასვლას?***

— ჩვენ უსაგნო და უშედეგო აქციებს ვერიდებით. ჩვენ ისეთი პროცესი გვინდა დავინახოთ, რომელიც კონკრეტულ შედეგამდე მიგვიყვანს და არა საპირველმაისო „მარშიროვკაზე" სიარულამდე.

***— მაინცდამაინც თქვენი პარტია როდესაც გამოვა, მაშინ შეიცვლება რამე?***

— ჩვენ ყველა მშვიდობიანი ბერკეტი უნდა გამოვიყენოთ, რათა ხელისუფლებას დავათმობინოთ. ამ 7 წლის მანძილზე ერთხელ არ შეიძლება, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღოს და ქართველი ხალხი რასაც მოისურვებს, ის დადოს მოლაპარაკების მაგიდაზე? მოსახლეობისკენ უნდა გადმოდგას ხელისუფლებამ ნაბიჯი.

***— ხელისუფლება წამოვა ოპოზიციასთან შემხვედრ ნაბიჯებზე?***

— თუ ხელისუფლება ოპოზიციასთან შემხვედრ ნაბიჯებზე არ წამოვა, მაშინ ხალხი ქუჩაში გამოვა. ხალხი არა მარტო ამ მოთხოვნით გამოვა, არამედ სხვა მოთხოვნებითაც. თუ გინდა, შენი ერის აფორიაქებული სული როგორმე დააწყნარო, როზგი რომ გიკავია, ეს როზგი ხელიდან გააგდე და შენი ქვეყნის მოქალაქეებს მოეფერე, დაუყვავე, მათ შორის, პოლიტიკურ ძალებსაც და უთხარი, რომ თანამშრომლობაზე მოდიხარ, მზად ხარ შეთანხმებასა და კომპრომისების გზით სიარულზე. ჩვენც ხომ ბევრი გვაქვს დასათმობი. ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, რას დათმობდითო? მოლაპარაკების პროცესში, შესაძლოა, ჩვენც დავთმოთ რაღაც, რათა საბოლოოდ ორივე ძალამ იმ გზაზე იაროს, რომ ეს ქვეყანა უფსკრულში არ გადაიჩეხოს და არჩევნებამდე მივიყვანოთ.

***— ოპოზიცია ამბობს, რომ მოსახლეობა ხელისუფლებას არ ენდობა. ფაქტია ისიც, რომ მოსახლეობა აღარც ოპოზიციას ენდობა. მოსახლეობა გაჰყვება ოპოზიციას, თუკი ახალი საპროტესტო ტალღა აგორდება?***

— საზოგადოება ოპოზიციას რომ არ ენდობა, ეს, პირველ რიგში, ოპოზიციის ბრალია. ნუ გადავაბრალებთ ნურავის, ჩვენს თავს დავუკვირდეთ, რა ნაბიჯებს ვდგამთ, ადეკვატურია თუ არა ეს ნაბიჯები შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. როგორ მოვიქეცით ამ აქციების დროს. ყოველთვის ვამბობდი, რომ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ. ერთი რამ უნდა ვთქვა: ქუჩა გარკვეული ნარკოტიკივით არის, ადვილად შეიძლება მისვლა, მაგრამ იქიდან გამოსვლა ურთულესია. ადამიანები ხშირად ნარკოტიკული თრობის ქვეშ ექცევიან. ბევრი პოლიტიკოსი ვიცი, რომელიც 20 წელია დღემდე ხმამაღლა მოსაუბრე საშუალებით დადის. თუ ხატოვან შედარებას გავაკეთებ, ეს არის ერთგვარი თრობა ქუჩით, ეგზალტაციით. ეს არის ცნობილი ანბანური ჭეშმარიტება. ქუჩა გიზიდავს. როგორც ფუტკარი თაფლზე მიდის, ასე მიდის ზოგიერთი პოლიტიკოსი მიტინგზე. ოპოზიციის ნაწილი კრეატიული არ არის, ვერც ხელისუფლებას და ვერც საზოგადოებას ახალ ხედვას ვერ სთავაზობს. როდესაც ჟურნალისტები ზოგიერთ ოპოზიციონერს შეკითხვას უსვამენ, როგორ უნდა მიაღწიონ შედეგს, ისინი ამბობენ, ჯერ ხალხს გამოვიყვანთ და მერე ვნახოთო. ეს გზა მილიონჯერ არის ნაცადი. არ ვიცი, ეს ხალხი სააკაშვილის თამაშს ხომ არ თამაშობს? ხალხი ქუჩაში გამოგყავს, ვერაფერს სთავაზობ, მერე ამ ხალხს თავს აგინებინებ, შენი თავი ჯანდაბას, მერე სხვებსაც გვლანძღავენ და ერთ ქვაბში გვხარშავენ. თბილისის გარეთ საერთოდ არ გადიან, თუმცა, ახლა ზოგიერთი დადის და თბილისის გარეთ ოფისებს ხსნის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს საყოველთაობის განცდა სურთ შექმნან. არადა, ასე ფაციფუცში კედელი არ შენდება, საძირკველი უნდა იყოს მყარი.

## მსო-ში გაწევრიანებაზე რუსეთთან მოლაპარაკება საქართველოსთვის არაფრისმომცემია



მოძრაობა „სამართლიანი საქართველოს" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, თბილისსა და მოსკოვს შორის გასამართ მოლაპარაკების პროცესში საქართველოს ინტერესს ვერ ხედავს.

როგორც ექს-პრემიერმა გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული მოლაპარაკების პროცესი მხოლოდ დასავლეთის მიერ ორ ქვეყანაზე განხორციელებული ზეწოლის შედეგია, თორემ რეალურად, რუსეთთან ამ საკითხზე მოლაპარაკება საქართველოსთვის არაფრის მომცემია.

— რუსეთთან მოლაპარაკება ზოგადად, ქვეყნებს შორის ურთიერთობის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით უნდა დაიწყოს და არა რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, — განაცხადა ნოღაიდელმა და დასძინა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამის უნარი არ აქვს.

ექს-პრემიერი დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა საქართველოს ხელისუფლებას ხელს არ აძლევს, რადგან მას კრემლი საფრთხობელად და პრობლემების გადასაბრალებლად სჭირდება. ნოღაიდელის თქმით, მიუხედავად საქართველოს წინააღმდეგობისა, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მაინც გაწევრიანდება.

შეგახსენებთ, რომ მსო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქართული და რუსული დელეგაციები მოლაპარაკებას შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში გამართავენ.

მედიანიუსი

## დათო მაღრაძე — დღევანდელი რეჟიმი ცდილობს, მასობრივი სკლეროზი გამოიწვიოს



„დაიცავი საქართველოს" ლიდერმა დათო მაღრაძემ და საინიციატივო ჯგუფის წევრებმა საზოგადოებას ახალი პროექტი „ახალი ქართული კონსერვატიზმი" წარუდგინეს. შეხვედრა თეატრის მოღვაწეთა კავშირში გაიმართა, სადაც დავით მაღარაძემ სტუმრებს მათი ინიციატივის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

როგორც დავით მაღრაძემ აღნიშნა, „ახალი ქართული კონსერვატიზმი" გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რაც მიუღებელია თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის, არამედ როგორ უნდა გაგრძელდეს კლასიკური ევროპული ტრადიცია ნებისმიერი ახალი გამოწვევების ფონზე და როგორი ქვეყანა უნდა დახვდეს მომავალ თაობას.

— დღევანდელი რეჟიმი ცდილობს გამოიწვიოს მასობრივი ნაციონალური სკლეროზი. ახალი ნაციონალური პროექტის მიხედვით ადამიანი არის მეხსიერება, რომელიც საჭიროებს განათლებას და ამ განათლების რეალიზების შესაბამის ასპარეზს, ზოგადად, სახელმწიფოში, — განაცხადა მაღარაძემ.

ინტერპრესნიუსი

# სავალუტო ჯიხურში მოქალაქეებს ძარცვავენ

გერა მამულაშვილი

**მარჯანიშვილის მეტროსთან, ამავე სახელობის ქუჩის დასაწყისში, პირველივე სავალუტო ჯიხურში მოქალაქეებს ძარცვავენ. ეს პროცესი დღისით-მზისით ერთი გაქსუებული მოლარის „ჰოლივუდური ღიმილის" თანხლებით მიმდინარეობს. პოტენციურ მსხვერპლთა საყურადღებოდ — ეს ხდება მეტროს ზემოთ პირველივე ჯაჭგად განათებულ გადამცვლელ პუნქტში.**



ერთ-ერთ ფაქტს ჩვენც შევესწარით. ასაკოვანი ქალბატონი შევიდა და 50-დოლარიანი გადაახურდავა. ლარები მისცეს და კლიენტს იმ წამს თანხისთვის ყურადღება დიდად არც მიუქცევია. გამოდიოდა და დაადევნეს — თუ გინდათ, ჩეკიც გაიყოლიეთო.

გამოვიდა და იქვე გამჭვირვალე მინის წინ თანხა გადაითვალა. ექვსი ლარით ნაკლები იყო. ეგონა, მექანიკური შეცდომა დაუშვეს. მიუბრუნდა და „ვალუტჩიკს" უთხრა თანხის ნაკლებობაზე. წარბიც არ შეუხრია მოლარეს. — ჩვენთან 8 პროცენტი იქვითება და ყურადღება წინასწარ უნდა მიგექციათო. — როგორ უნდა მიმექცია, თუ ამაზე წინასწარ არ მითხარით? — ეუბნება კლიენტი.

— როგორ და გარეთ განცხადება გვაქვს გამოკრული!

ქალბატონმა საკუთარი თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ ამაოდ. ჩეკი გამოწერილია და ამას ვეღარ შევძლებთო. კითხვაზე, ამას რა უფლებით აკეთებდნენ, უპასუხეს, რომ ლიცენზიას ფლობდნენ და პროგრამაშიც ეწერათ, რომ 8 პროცენტის დაქვითვის უფლება ჰქონდათ.

აი, ასე „კულტურულად" გაძარცვეს კლიენტი, თან მიადევნეს, სადაც გინდათ, იქ იჩივლეთ, კანონის წინაშე მართლები ვართო.

სხვა რაღა უნდა ეთქვა მოტყუებულ ქალს — უფროსი იკითხა. დაცვამ უპასუხა, მეპატრონეები უცხოელები არიან და ჩვენ არაფერ შუაში ვართო. — ჰოდა, უფროსებს ასე გადაეცით, შხამად შეერგებათ ის, რაც არ ეკუთვნითო.

— აუცილებლად გავარკვევ ამ ამბავს. ადრე ტელევიზორში ვნახე, რომ ასეთი შემთხვევა პეკინზე მოხდა და ერთი ამბავი იყო ატეხილი. მეგონა, მსგავსი უნამუსობა აღარ მოხდებოდა. ეს ჯიხური მეტროდან ზემოთ, მარჯანიშვილის ქუჩისკენ რომ მივდივართ, პირველივეა და ამიტომ შემოვედი. პატარა ასოებით დაწერილი განცხადებისთვის არ მიმიქცევია ყურაღება, რადგან ასეთ უმსგავსობას სხვაგან ადგილი არ ჰქონია.

ვეკითხები, წინასწარ რატომ არ აფრთხილებთ ხალხს-მეთქი და ეს ჩვენს მოვალეობებში არ შედისო. აბა, ხალხის გატყავება შედის მათ უფლება-მოვალეობებში? სად არიან და რას აკეთებენ ამ დროს საგადასახადო, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები, რათა სხვებმა მაინც ასეთი რამ ვეღარ გაბედონ?!

სხვას არაფერს პატიობენ, ესენი კი კანონისა და ლიცენზიების სახელით ხალხს ბოლო გროშებს პარავენ, — აცხადებს ჩვენთან საუბრისას მოტყუებული ქალბატონი, რომელმაც ვინაობის დასახელება არ მოინდომა.

„ახალმა თაობამ" ამავე ჯიხურში „გადაგდებული" სხვა კლიენტებიც მოძებნა და მათ კომენტარებსაც გთავაზობთ:

— დავუშვათ, მე ის ათითორმეტი ლარი ბევრს ვერ დამაკლებდა. ვიღაც ბოლო კაპიკებს ახურდავებს და მისთვის ყოველ თეთრს აქვს მნიშვნელობა. უმრავლესობა კი დღეს ასეთ დღეშია. ასეთებისთვის მოპარული უნდა შერჩეთ? ოცი წელი გავიდა და ამ ქვეყანას არაფერი ეშველა. რომელ სამართლიანობაზეა საუბარი. ვინ არიან ესენი? ერთხელაც ადგება ერთი გამწარებული კლიენტი და ბომბს შეუგდებს. მერე იმქვეყნად არჩიონ მტყუან-მართალი და ლიცენზიები. ვთხოვ შესაბამის ორგანოებს, ეს საკითხი გამოარკვიონ. სირცხვილია, მეგობრებო, სირცხვილი! — აცხადებს ბესო მარინაშვილი.

— ორი დღის წინ პრეზიდენტი პენსიონერებს ხვდებოდა. იქ ერთ მომენტს მივაქციე ყურადღება — სააკაშვილი საუბრობდა იმაზე, რომ საგადასახადო ახალ რეჟიმში უფრო სამართლიანად და ყურადღებით იმუშავებს, ასეთი მიდგომები კი ქვეყნის განვითარებას სჭირდება. ეს არის, ბატონებო, სამართლიანი მიდგომები? დღისით-მზისით ქალაქის ცენტრში ეს არაკაცები ხალხს ფულს ართმევენ კანონისა და ლიცენზიების სახელით და განმკითხავი არც არავინაა.

თუ ეს კანონიერი საქციელია, ფულის დახურდავებაში მთელი ათი პროცენტის მოპარვა, მაშინ დანარჩენ სავალუტოებში ამავე ქუჩაზე ამას რატომ არ აკეთებენ? მივედი და დანარჩენებს ვკითხე — პატიოსნად მიპასუხეს, ჩვენ ამას არ ვაკეთებთ და მათზე, აბა, რა გითხრათო. ამაზე მეტი რა უნდა ეთქვათ, ან სად არის სამართლიანი კონკურენცია?

თუ ამათ ე.წ. პატრონები არ ჰყავთ, ამას როგორ აკეთებენ. დოლარი ხომ უბრალო ადამიანს შავი დღისთვის აქვს გადანახული? რადგან ბოლო 50, 100-დოლარიანს ახურდავებს, ე.ი. იქ ბოლო კაპიკები გათვლილი აქვს და ვიღაც ხორცშესხმულ „საქონელს" რატომ უნდა შესწიროს?

ამას ყურადღება სჭირდება, თორემ ერთხელაც ვიღაცას მაგრად გაამწარებენ, თან დაცვა დაუყენებიათ; ამ კაცს ოჯახი არ ჰყავს, სინდისი არ აქვს, ლელვის ფოთლად რომ არის აქ დაყენებული? ან ვინ უშველის, როცა გამწარებული ხალხი მიადგება? — აცხადებს გიორგი ნატროშვილი.

„ახალი თაობა" შეეცადა, კომენტარები მაქსიმალურად შეერბილებინა, მაგრამ ეს ნაკლებად გამოვიდა. ჩვენ ამ საკითხს აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას. მანამდე საგადასახადოსა და სხვა შესაბამის ორგანოებს მოვუწოდებთ, ამ საკითხით დაინტერესდნენ და დროზე მოახდინონ რეაგირება.

# აშშ საქართველოში სამხედრო ოკუპაციის დასრულებას ცდილობს

გერა მამულაშვილი

**ოფიციალური ვაშინგტონი საქართველოს მიმართ მხარდაჭერას კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს. სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილ გორდონი აცხადებს, რომ საქართველოში რუსეთის ფედერაციის მოქმედებას აფასებს, როგორც „ოკუპაციას". ჰილარი კლინტონის მოადგილის თქმით, რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვა" აშშ-ის მოკავშირეების ხარჯზე არ მოხდება.**

— მიუხედავად, იმისა, რომ აშშ რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვით არის დაინტერესებული, ეს პრინციპებისა და შეერთებული შტატების მოკავშირეების ხარჯზე არ მოხდება, — აცხადებს ფილ გორდონი გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე, ბრატისლავაში სიტყვით გამოსვლისას.

— ჩვენ რუსეთთან გარკვეული უთანხმოებები გვაქვს და მათზე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვსაუბრობთ. კერძოდ, ეს ხდება საქართველოსთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რუსეთთან ბევრ საკითხში ურთიერთობის გაუმჯობესება შეგვეძლო, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არ მოხდება ჩვენი პრინციპებისა და ჩვენივე მეგობრების ხარჯზე. საქართველო ერთ-ერთი ჩვენი მეგობარია და ამ ურთიერთობის საფუძველში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი დევს, — აღნიშნავს ფილიპ გორდონი.

— ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები ინტენსიურ და აქტიურ ხასიათს ატარებს. საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხს რუსების წინაშე საკმაოდ ხშირად ვაყენებთ. ეს ხდება მაშინ, როდესაც მათ ვხვდებით. ჩვენ ამისგან თავს არ ვიკავებთ. ყოველთვის ნათლად ვაცხადებთ, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ყოფნას განვიხილავთ, როგორ ოკუპაციას, — განმარტავს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე.

ფილიპ გორდონმა ყურადღება მიაქცია ტერმინ „ოკუპაციას", რომელიც უკვე მყარად დამკვიდრდა ოფიციალური ვაშინგტონის ლექსიკონში საქართველოსგან გამოყოფილ რეგიონებთან დაკავშირებით. ჰილარი კლინტონის თანაშემწე აცხადებს, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობა აღნიშნულ ტერმინს არ განიხილავს, როგორც „პროვოკაციულს", რადგან ის „არსებული მდგომარეობის შეფასებას" წარმოადგენს.

— ჩვენ არ ვიცით, ამას სხვა რა უნდა დავარქვათ, — ამბობს გორდონი და ამატებს, რომ აშშ „ძალიან აქტიურია ჟენევის მოლაპარაკებებზე და რუსეთთან ერთად ცდილობს, დაასრულოს ის, რასაც ჩვენ (აშშ) სამხედრო ოკუპაციად ვთვლით".

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლები არაერთხელ გამოხატავდნენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები იყენებენ ტერმინ „ოკუპაციას" ამ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

კერძოდ, დე ფაქტო ცხინვალის დელეგაცია აცხადებს, რომ ოსურმა მხარემ მოცემული საკითხი მოლაპარაკებების მეთხუთმეტე რაუნდზე დააყენა, რომელიც ჟენევაში ოთხ მარტს შედგა.

— მხედველობაში იმის მიღებით, რომ ბოლო ხანებში ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლების ჩაწოდებით დაუსაბუთებლად იყენებენ ტერმინ „ოკუპაციას" სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიასთან მიმართებით, ჩვენმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ ეს საკითხი ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდში შეეტანათ. დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით უნდა გაირკვეს, რამდენად სწორად ხდება ამ ტერმინის გამოყენება სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით, — ნათქვამია ოსური მხარის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თბილისში კი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბრატისლავაში გამოსვლას კმაყოფილებით შეხვდნენ. ფილ გორდონის განცხადების კომენტირებისას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძემ განაცხადა, რომ „ეს აშშ-ის პოზიციის მორიგი გამოხატულებაა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით".




— მნიშვნელოვანია, რომ აშშ ხშირად საუბრობს საქართველოს ოკუპაციაზე; რუსეთის ფედერაციასთან დიალოგისას თავის პოზიციას ნათლად აფიქსირებენ, — აცხადებს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე.

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ქართული ფონდის ხელმძღვანელი ალექსანდრე რონდელი გლობალური უსაფრთხოების ბრატისლავის ფორუმში მონაწილეობას იღებდა და ფილ გორდონის გამოსვლას უშუალოდ ისმენდა.

„ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფილ გორდონმა მორიგი, ძალიან ნათელი განცხადება გააკეთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე.

— გორდონმა თქვა, რომ აშშ ყოველთვის ჩათვლის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებად და ამ საკითხში ისინი უკომპრომისონი იქნებიან. ეს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს პოზიციისთვის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა სამართლებრივ საფუძველს ქმნის, — განმარტავს პროფესორი რონდელი.

მან ასევე მიუთითა, რომ, პრინციპში, გორდონმა გაიმეორა ის, რაც ამერიკული ადმინისტრაციის სხვა მაღალჩინოსნების მიერ უკვე აქამდეც გაცხადებული იყო, მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის მიერაც.

პოლიტოლოგი თვლის, რომ „სამხრეთ ოსეთის" ხელისუფლების უკმაყოფილება ცხინვალის რეგიონთან მიმართებით ტერმინ „ოკუპაციის" გამოყენების გამო „ბუნებრივ რეაქციას" წარმოადგენს.

— თუკი გამოყოფილი რეგიონები საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიებად არის აღიარებული, ისმება კითხვა: ვინ არიან თავად ისინი, ანუ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელები? — ამბობს ექსპერტი.

საქართველოს გამოყოფილ რეგიონებთან ურთიერთობებზე საუბრისას ალექსანდრე რონდელი აღნიშნავს, რომ „ისინი ომის შემდეგ გართულდა" და სისხლისღვრის შემდეგ მხარეთა მთელი რიგი პრეტენზიების დარეგულირებისთვის არცთუ მცირე დრო იქნება საჭირო:

— მაგრამ გადაუწყვეტელი საკითხები არ არსებობს: ყველა საკითხი გადაწყვეტადია და დროთა განმავლობაში, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხები მოილაპარაკებენ, — ამბობს პოლიტოლოგი დასკვნის სახით.

რაც შეეხება ჟენევის ბოლო მოლაპარაკებებს, იგი კვლავ უშედეგოდ დასრულდა. ქართულმა დელეგაციამ უკვე მერამდენედ მოითხოვა რუსულისგან, რომ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება აიღოს. საპასუხოდ გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ მოსკოვი „მზად არის, თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის უსაფრთხოების გარანტორის როლი შეასრულოს". მარიონეტები კი „უკმაყოფილონი არიან" ტერმინ „ოკუპაციის" გამოყენების გამო.

თუმცა, სეპარატისტებისა და მათი მფარველების მცდელობის მიუხედავად, ტერმინი „ოკუპაცია" საერთაშორისო თანამეგობრობის ლექსიკაში მყარად მკვიდრდება და, იმედია, ამ პროცესს ადრე თუ გვიან სასურველი შედეგებიც მოჰყვება.

## ტრანსკავკასიური მაგისტრალი ჩაკეტილია

ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთს" შორის ერთადერთი დამაკავშირებელი გზაა, ზვავსაშიშროების გამო კვლავ ჩაკეტილია, — იუწყება ჩრდილოეთ ოსეთის საგანგებო სიტაუციათა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი იულია სტარჩენკო.

მისი თქმით, ამ დროისთვის სინოპტიკოსები არასახარბიელო პროგნოზს აკეთებენ.

— დღეისთვის თოვლის საფარის სიმაღლემ მაგისტრალის გზის ფერდობებზე 104 სანტიმეტრი შეადგინა. კვლავაც თოვს. ეს კი ზვავსაშიროებას ქმნის, — განაცხადა პრესცენტრის ხელმძღვანელმა.



**მედიანიუსი**

## ალასანია საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების დაწყებას მიესალმება



„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პროცესის დაწყებას მიესალმება. როგორც ალასანიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, მოლაპარაკებების პროცესი მრავალმხრივია და საქართველოსთვის ხელსაყრელია, რუსეთი აღიარებულ თამაშის წესებში ჩაერთოს, რომელსაც ვმო ადგენს. მისი თქმით, პრინციპულად მიაჩნია ორი საკითხი, რომელიც ქართულმა მხარემ ამ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს.

— ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ტრადიციული ბაზრის დაბრუნება რუსეთში ჩვენი პროდუქციისთვის, რომელიც აშკარა პოლიტიკური ნიშნით, დღემდე დაბლოკია და მეორე, საბაჟო საზღვრები ორ ქვეყანას შორის უნდა იყოს გარკვეული. ჩვენ გვაქვს სწორი პოზიცია, რომ ეს საზღვარი გადის იქ, სადაც საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის. მაგრამ ომის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის გამო, არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ჩვენი მებაჟეების იქ განთავსება რეალური იქნება, — განაცხადა ალასანიამ.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში ქართულმა მხარემ კონფლიქტურ ზონებში აპრობირებულ საერთაშორისო მექანიზმებზე უნდა იფიქროს, როდესაც სუვერენული მხარე ლეგიტიმაციას აძლევს საერთაშორისო ორგანიზაციას, რათა მან საბაჟო საზღვრის მონიტორინგი განახორციელოს.

— ეს არის ის გამოსავალი, რომელიც მისაღები უნდა იყოს ქართული მხარისთვის ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, — აღნიშნა ალასანიამ. ვმო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკებები ხვალიდან იწყება. მოლაპარაკებებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი აწარმოებს. ქართული დელეგაცია ბერნში ხვალ გაემგზავრება.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯონდი ბაღათურიამ 8 მარტი პატიმარ ქალებს მიულოცა



„ქ ართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ 8 მარტი დღეს პატიმარ ქალებს რუსთავის №2 სასჯელაღსრულების ქალთა დაწესებულებაში მიულოცა.

მან პატიმარი დედები და მათი შვილები მოინახულა. ჯონდი ბაღათურიამ პატიმარი ქალებს „ქართული დასის" ახალი ინიციატივა გააცნო, რომელიც პატიმართა პირობით, ვადაზე ადრე გათავისუფლების ვადების შემცირებას ეხება.

მისი თქმით, ეს საკითხი უკვე განიხილეს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებმა და უახლოეს მომავალში პარლამენტში კენჭისყრაზე გავა.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლებას ხალხს აღარ დავაჩაგვრინებთ!

თეა მარხვაი ე



**ხელისუფლება თავის ოპონენტებს როგორ უსწორდება, ყველას კარგად მოეხსენება. საქართველოში ყველამ იცის ზონდერბრიგადების არსებობის შესახებ. ზონდერები ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და, როგორც ოპოზიცია ამბობს, საკმაოდ სერიოზული ხელფასებიც აქვთ.**

2009 წელს მიმდინარე აქციების დროს ზონდერები აქციის მონაწილეებს ხშირად ესხმოდნენ თავს და სცემდნენ. ოპოზიციის მხარდამჭერებზე ასეთი თავდასხმები დღესაც გრძელდება. ოპოზიცია უკვე დიდი ხანია ფიქრობს, რა მეთოდებით დაიცვას ხალხი ხელისუფლების ძალადობისაგან. სახალხო კრებამ ამისთვის შეფიცულთა რაზმები შექმნა. მათი პრეზენტაცია ხვალ გაიმართება. შეფიცულთა რაზმებს მსახიობი გია ბურჯანაძე კურირებს. შეფიცულთა გეგმებზე ის „ახალ თაობას" ესაუბრება.

***— რატომ გადაწყვიტეთ შეფიცულთა რაზმების შექმნა?***

— ეს გაკეთდა იმისათვის, რომ ჩვენი მოქალაქეები დავიცვათ ხელისუფლების მხრიდან წამოსული ფიზიკური და მორალური ძალადობისაგან. განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე ხელისუფლება სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს. ადამიანებს დაცვა სჭირდებათ. ამიტომაც გადავწყვიტეთ შეფიცულთა რაზმების შექმნა.

***— თქვენც ზონდერ-ბრიგადების შექმნას ხომ არ აპირებთ?***

— ჩვენ მსგავს რამეებთან საერთო არაფერი გვაქვს. ასეთ უკანონობას ხელისუფლების წარმომადგენლები სჩადიან. ჩვენ კანონს ვიცავთ და ვცდილობთ, რომ ჩვენი მოქალაქეები იმ უკანონობისგან დავიცვათ, რომელსაც ხელისუფლების მხრიდან აქვს ადგილი. ხვალ თბილისში მოხდება შეფიცულთა პრეზენტაცია. ცოტა ხანში მსგავსი ჯგუფები საქართველოს ყველა რეგიონში ჩამოყალიბდება. შეფიცულები საქართველოს ყველა სოფელსა თუ რაიონში დაიცავენ ადამიანებს ხელისუფლების ძალადობისაგან. შეფიცულთა რაზმების შექმნისკენ ხელისუფლებამ გვიბიძგა. ხალხი იძულებელია ხელისუფლების ძალადობისგან თავდაცვაზე იფიქროს.

***— შეფიცულთა რაზმებს ექნება თუ არა რაიმე იურიდიული სტატუსი. ამასთან რა გარანტია გაქვთ, რომ ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციებს არ ექნება ადგილი?***

— ხელისუფლება ისედაც ყოველდღიურად აწყობს პროვოკაციას. როგორც სახალხო კრების წევრების, ასევე სხვა ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ. ის მთელ საქართველოს უწყობს პროვოკაციას. ზაქარია ქუცნაშვილმა შეიმუშავა შეფიცულთა წესდება. იქ არის მოცემული ამ მოქალაქეების უფლებები და მოვალეობები. ზაქარია კარგი იურისტია და მის მიერ შემუშავებული წესდება ჩვენს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქეების უფლებები დაიცვას. იმ ზონდერბრიგადებშიც ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, ოღონდ ისინი ხელფასს იღებენ ზონდერობისთვის. ორი დღის წინ პრეზიდენტი პენსიონერებს დიდი ზარზეიმით შეპირდა, ასი ლარი გახდება პენსიაო. ეს ძალიან უხარიათ პენსიონერებს. ადამიანებს ისე უჭირთ, უხარიათ, 20 ლარიან ვაუჩერებს რომ ურიგებენ. თანაც ეს ვაუჩერები მიაქვს ბაქრაძეს და ყველა ტელევიზია ამას აშუქებს. ადამიანებს ასე უჭირთ და ის ზონდერები 500 და 700 ლარიან ხელფასებს იღებენ. ისინიც იმ ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, რომელიც პენსიონერებს კაპიკებს უხდის. მე იმედი მაქვს, რომ ეს ადამიანები მიხვდებიან, რა ხელისუფლებასთან აქვთ საქმე, ან შერცხვებათ ადამიანების ცემისთვის ხელფასის აღება.

***— თქვენ აპირებთ, რომ ადამიანები ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისგან დაიცვათ. მათი ზონდერები საკმაოდ ჯანიანები არიან. შეფიცულთა რაზმები თქვენც ჯანიანი ხალხით დააკომპლექტეთ?***

— ფიზიკური მონაცემების მიხედვით არჩევანს არ ვაკეთებთ. ჩვენ არც საჩხუბრად ვამზადებთ ხალხს და არც ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის. შეფიცულებში ქალებიც არიან და მოხუცებიც. აქ ყველა სქესისა და სოციალური ფენის წარმომადგენელია გაერთიანებული. მთავარი ის არის, რომ ვიცით, სიმართლე ჩვენს მხარეს არის. მე მაინტერესებს, ეს ადამიანები როდემდე გააგრძელებენ ადამიანების ცემას. ყველას რომ სცემენ, საკუთარ მშობლებს და დებსაც გალახავენ? ეს ადამიანები საკუთარმა ნათესავებმა უნდა მოიკვეთონ.

# რატომ ვერ სარგებლობენ გლეხები სამთავრობო ტრაქტორებით

თეა მარხვაი ე



**ყველას კარგად გვახსოვს, ნაციონალებმა რა წიოკი და ჟრიამული ატეხეს, სოფლებში ტრაქტორები დავარიგეთო. ამ ტრაქტორების პრეზენტაცია და საზეიმოდ გადაცემის ცერემონიალი ჩვენი მშობლიური არხებით არაერთხელ გადაიცა. ტრაქტორების ფონზე ჩვენ არაერთხელ ვიხილეთ ქვეყნის პრეზიდენტიც, რომელიც ბედნიერი სახით არიგებდა ამ ტრაქტორებს.**

ხელისუფლებისთვის რომ გეკითხა, მთელი ერი ამ ტრაქტორებით კმაყოფილი და ბედნიერი იყო, მაგრამ ვინ გაცალა ბედნიერება. ოპოზიცია გამოხტა და როგორც სხვა ყველაფერში, ამაშიც საეჭვო რაღაცეები დაინახა.

ვისაც ტრაქტორებთან და სოფელთან შეხება არ ჰქონდა, ოპოზიციის „ნაბოდვარი" არ დაიჯერეს. თანაც მაშინ ქვეყანა ჯერ კიდევ ვარდის სურნელით იყო გაბრუებული. ვარდს ფურცლები რომ შემოაჭკნა, მერე ბევრი რამე გახდა ნათელი.

ტრაქტორებთან დაკავშირებით ჩვენში სკანდალი ძალიან ბევრჯერ ატყდა. ხელისუფლება ოპოზიციის განცხადებებს სიცრუესა და ნაბოდვარს უწოდებდა. ხელისუფლებამ გლეხების ბრალდებებიც აბსურდულად მიიჩნია, არადა გლეხები ამტკიცებდნენ, რომ ტრაქტორებით მხოლოდ ნაციონალები და მათთან დაახლოებული პირები სარგებლობდნენ.

ტრაქტორების სკანდალი განსაკუთრებით 2008 წელს გამწვავდა. იმ წელს საქართველოში ორი არჩევნები ჩატარდა — საპრეზიდენტო და საპარლამენტო. იმ პერიოდისთვის ჩვენი ტანჯული ოპოზიცია მაგრად „გრიმიტობდა". თბილისის მსგავსად ოპოზიციას რეგიონებშიც ღიად უჭერდა მხარს ხალხი. არსებული შიში მაშინ ბევრმა დაძლია. ხალხმა გაბედა ღიად დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია.

ბუნებრივია, ჩვენს ფხიზელ ნაციონალებს და სათანადო ორგანოებს არ ეძინათ. მათ ზედმიწევნით მოაგროვეს ცნობები ამა თუ იმ პიროვნების პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. როცა ხვნა-თესვის სეზონი დადგა, ოპოზიციონერ გლეხებს უთხრეს, წადით და ოპოზიციას მოახვნევინეთ თქვენი ნაკვეთებიო.

ამაზე მაშინ ოპოზიციამ დიდი ხმაური ატეხა. ნაციონალებმა ასეთი ფაქტების არსებობა საჯაროდ უარყვეს. კულუარულად კი განაცხადეს, რომ ოპოზიციონერი თუ ხარ, სააკაშვილის ტრაქტორით როგორ უნდა მოხნა მიწაო.

ისე, ნაციონალები სადღაც მართლები არიან. უფრო სწორად, მართლები იქნებოდნენ, ეს ტრაქტორები მართლა სააკაშვილის ნაყიდი რომ ყოფილიყო. არადა, ყველამ ვიცით, რომ ეს ტრაქტორები ბიუჯეტის ფულით არის ნაყიდი. ბიუჯეტში ფული კი მიშისტისგანაც შედის და ოპოზიციონერისგანაც. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, არამიშისტებს საავტომობილო გზებით სარგებლობაც ეკრძალებათ. ნაციონალებს რომ ჰკითხო, ეგეც მიშას დაგებულია.

საავტომობილო გზებს, მოდით შევეშვათ და ისევ ტრაქტორებს დავუბრუნდეთ, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი გლეხების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იქცა. ბოლო პერიოდში გაირკვა, რომ ტრაქტორები მიშისტ გლეხებსაც სანატრელი გაუხდა და როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ამ ტრაქტორებით სოფლის გამგებლები და მათი ახლო ნათესავები სარგებლობენ.

სატრაქტორო ომები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გაიმართა. ყველაზე სერიოზულად ეს პრობლემა კახეთში იდგა. ამის შესახებ აქტიურად იწერებოდა ადგილობრივ პრესაში. რადიო „ჰერეთი" და კახეთის საინფორმაციო ცენტრი ამ თემაზე ძალიან ხშირად აკეთებდნენ რეპორტაჟებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი ტრაქტორებთან დაკავშირებით ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას აპირებს, მანამდე კი გამოკითხვა ჩაატარეს. ვიდრე ამ გამოკითხვის შედეგებს გაგაცნობდეთ, პრეზიდენტის ინტერვიუს გაგახსენებთ. საუბარია „პირველი კავკასიურისთვის" იანვრის თვეში მიცემულ ინტერვიუზე. ამ ინტერვიუში პრეზიდენტმა ბევრ რამეზე ისაუბრა და ტრაქტორებსაც მიადგა. პრეზიდენტმა ალალად აღიარა, რომ ტრაქტორების უფასოდ დარიგების ექსპერიმენტმა არ იმუშავა.

— ხალხი ჩიოდა და ალბათ სამართლიანადაც. ამბობდნენ, რომ ტრაქტორს, რომელსაც სოფელს უფასოდ მისცემ, იყენებენ გამგებელი და ერთი-ორი ოჯახი, ხალხს კი არაფერი ხვდება. უფასო არაფერია ამ ქვეყანაზე. ახლა გავაკეთებთ ისე, იყოს ხელმისაწვდომი, რომ განვადებით აიღოს ტრაქტორი და ეს ფული პროდუქციის გაყიდვის შემდეგ გადაიხადოს. მექანიზაციის პროგრამას ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ. საქართველოში გვჭირდება 2 000 ტრაქტორი, რათა ქვეყანა მთლიანად გადაიფაროს. ახლა წავიდა სპეციალიზაცია. არის ტრაქტორები, რომელსაც სჭირდება სპეციალური გუთნები, ან ტრაქტორები, რომელიც ვიწრო უნდა იყოს, რომ ვენახში შევიდეს. უკვე ახალი მოთხოვნები წარმოიქმნა. შეიქმნა ბევრ ადგილზე ახალი სახის პარკები, სადგურები, სადაც ეს ტრაქტორებია განლაგებული. ამას წინათ ვიყავი ჩაილურში და ძალიან პოპულარულია და კარგად ოპერირებს კახეთში ასეთი პარკები, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

პირველი პირი იმავე ინტერვიუში დაგვპირდა, რომ მაქსიმუმ ორ წელიწადში არ იარსებებს სოფელი, რომლისთვისაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ხელმისაწვდომი არ იქნება.

ახლა რაც შეეხება კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოკითხვას. სარგებლობენ თუ არა გლეხები პრეზიდენტის მიერ სოფლებისთვის ნაჩუქარი ტრაქტორებით ან იმ ტექნიკით, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიძინა და რეგიონებში სერვის- ცენტრებს გადასცა. ამ თემაზე კახეთის საინფორმაციო ცენტრმა რეგიონის 12 სოფელში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა.

გამოკითხვა კარდაკარ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, 2, 4 და 5 მარტს, სოფლებში ვეჯინი, ჭანდარი, ბაკურციხე, ჩალაუბანი (გურჯაანის რაიონი), აკურა, ნაფარეული, თეთრწყლები, იყალთო (თელავის რაიონი); ვაქირი, ანაგა, მაღარო, მაშნაარი (სიღნაღის რაიონი) ჩატარდა. სულ 240 გლეხი გამოიკითხა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, დასმული იყო ერთი შეკითხვა: გისარგებლიათ თუ არა პრეზიდენტის ნაჩუქარი და სამთავრობო ტრაქტორებით, რომლებიც სერვის-ცენტრებს გადასცეს.

პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა 87% პრეზიდენტის მიერ სოფლებისთვის ნაჩუქარი ტრაქტორი არ გამოუყენებია და არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეძენილი ტრაქტორებით უსარგებლია, რომლებიც სერვის-ცენტრებს აქვს გადაცემული. 6%-მა აღნიშნა, რომ „სამთავრობო ტრაქტორით" უსარგებლია, 7%-მა კითხვაზე პასუხის გაცემა არ ისურვა.

# 8 მარტს დაბადებულთა შორის ქალბატონები ჭარბობენ

8 მარტს დაბადებულთა შორის ქალბატონები ჭარბობენ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში 8 მარტს დაბადებული 16 721 ადამიანი ცხოვრობს, აქედან 10 243 (61%) ქალბატონია, ხოლო 6 478 (39%) მამაკაცი.

8 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აღნიშნული კვლევა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-ანალიტიკურმა სამმართველომ ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგისტრირებული მოსახლეობის საერთო რაოდენობის უმეტესობა - 52%, ქალბატონია. ახალშობილი გოგონების პოპულარული სახელებია — მარიამი, ნინო(ნინი), ანასტასია, ელენე, ბარბარე, ლიზი, ანა(ანი), სალომე, ნია. ყველა ასაკის ქალბატონებში გავრცელებული სახელებია — ნინო, თამარი, მარიამი, მაია, ნანა, ქეთევანი, ნათელა, მანანა, ნათია, ანა.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის ვიცე-მერად გიორგი ცხაკაია დაინიშნა



თბილისს ახალი ვიცე-მერი ჰყავს. ამ თანამდებობაზე შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ცხაკაია დაინიშნა. ამის შესახებ „მედიანიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს. გავრცელებული ინფორმაციით, შემოსავლების სამსახურს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ჯაბა ებანოიძე უხელმძღვანელებს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ცხაკაია შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელის პარალელურად, ფინანსთა მინისტრის მოადგილის პოსტსაც ითავსებდა. თბილისის მერიაში ცხაკაიას დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

**მედიანიუსი**

# რატომ გაუქმდა ახალშობილებზე 1000-ლარიანი დახმარება

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია აპროტესტებს ხელისუფლების სოციალურ პოლიტიკას და აცხადებს, რომ არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი ვალდებულია ყველა ის სოციალური პაკეტი აამოქმედოს, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო დაპირებაში იყო.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და ახალშობილებისთვის 1000 ლარიანი ერთჯერადი დახმარების პროგრამის აღდგენა მოითხოვა.

როგორც პრესკონფერენციაზე სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, უმუშევრობამ და სიღარიბემ ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე მიიყვანა. სიტუაციის შესაცვლელად კი აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური პროგრამები, რომლებიც შობადობის ზრდას შეუწყობს ხელს.

— ერთ-ერთი ასეთი პროგრამა იყო ახალშობილებისთვის ერთჯერადი 1000 ლარიანი დახმარების შემოღება, რომელიც პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ინიციატივით, ლეიბორისტებმა შეიმუშავეს. თუმცა ეს ინიციატივა 2007 წელს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიითვისა, კარგად გამოიყენა საარჩევნო კამპანიისთვის და 2008 წელს ახალშობილების დახმარება შეწყვიტა, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

ლეიბორისტული პარტია მოითხოვს, აღნიშნული პროგრამა დაუყოვნებლივ განახლდეს და ამ გზით მოხდეს ახალშობილთა მშობლების დახმარება.



გარდა ამისა, ოპოზიციური პარტიის ლიდერები ხელისუფლებას მოუწოდებენ, გაითვალისწინონ და აამოქმედონ ლეიბორისტული პარტიის მიერ შემუშავებული და ხელისუფლებისთვის შეთავაზებული დემოგრაფიული განვითარების პროგრამის სხვა მიმართულებებიც, რომელიც ეხება უფასო მშობიარობას, ორსულთა უფასო კონსულტაციებს, ახალშობილთა მკურნალობას და სხვ.

# გიორგი ცაბაძის სახელობის კონკურსი დაიწყო

ეკა ირემაშვილი

**ქართველი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის სახელობის საესტრადო კონკურსი „არტ აკადემიაში“ დაიწყო. „არტ აკადემიის“ ინიციატივით დაარსებული კონკურსის მიზანია ქვეყნის მასშტაბით განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების წარმოჩენა. გიორგი ცაბაძის სახელობის საესტრადო შემსრულებელთა კონკურსი საქართველოში პირველად ტარდება.**

**ჟიურის ქართული ესტრადის დედოფალი ნანი ბრეგვაძე უხელმძღვანელებს. ჟიურიში ასევე შედიან მომღერალი ნეკა სებისკვერაძე, კომპოზიტორის შვილი, კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელი კახა ცაბაძე, „არტ აკადემიის“ ხელმძღვანელი და დამფუძნებელი, პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი და კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარინა ბერიძე.**



როგორც „არტ აკადემიის“ დამფუძნებელი, პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი აცხადებს, კონკურსის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო მოზარდები „არტ აკადემიაში“ ვოკალისტებისგან მასტერ-კლასების კურსს გაივლიან.

გიორგი ცაბაძის სახელობის საესტრადო კონკურსმა ნორჩი მომღერლებისთვის 8 მარტიდან აიღო სტარტი. კონკურსი სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდება და კონკურსანტებს სამი ეტაპის გავლა მოუწევთ. გიორგი ცაბაძის სახელობის საესტრადო კონკურსის მხარდამჭერები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისი მერია არიან.

მომღერალ ნეკა სებისკვერაძის განცხადებით, დედაქალაქის მერია გოგი ცაბაძის სახელობის ესტრადის კონკურსს აქტიურად დაუჭერს მხარს და კულტურის სამინისტროსთან ერთად ორგანიზატორებს ყველანაირად გვერდში დაუდგება. მისთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა ჟიურიში ყოფნა და ნიჭიერ მოზარდთა შორის საუკეთესოების გამოვლენა. ნეკა იმედს გამოთქვამს, რომ ბევრი ნიჭიერი მოზარდი მივა ამ კონკურსზე და, რაც მთავარია, გოგი ცაბაძის სახელობის ესტრადის კონკურსი ტრადიციული გახდება.

ერთ-ერთი პირობა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ისიც იქნება, რომ ტურებში კონკურსანტმა გიორგი ცაბაძის რომელიმე სიმღერა უნდა შეასრულოს, რაზეც უფლება კომპოზიტორის ოჯახის წევრებისგან უკვე არსებობს.

კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონკურსანტები ძირითადად გიორგი ცაბაძის იმ სიმღერებს შეასრულებენ, რომლებიც მსმენელისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი და ისინი უკვე წლებია სახლში დევს.

გოგი ცაბაძის სახელობის ესტრადის კონკურსში მონაწილეობის მიღება 11-დან 27 წლის ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მათ სტილისტურად განსხვავებული სიმღერები უნდა შეასრულონ, ერთ-ერთ ტურში კი აუცილებლად გოგი ცაბაძის ნაწარმოები უნდა იმღერონ.

— ჩვენი „არტ აკადემია“ ხელოვნებაში თითქმის ყველა მიმართულებით მუშაობს და თითოეულ მიმართულებას პროფესიონალები უდგანან სათავეში. ამჯერად ჩვენ ვატარებთ ესტრადის კონკურსს, რომელსაც ეყოლება სპეციალური ჟიური და მას ქალბატონი ნანი ბრეგვაძე უხელმძღვანელებს. ამ კონკურსზე შესრულდება გოგი ცაბაძის ის ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოში არ არის ცნობილი. გოგი ცაბაძის შემოქმედება ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეულია და იგი შემდგომ თაობებს მნიშვნელოვნად დაეხმარება, — აცხადებს ვალერიან შიუკაშვილი.

გიორგი ცაბაძის სახელობის საესტრადო სიმღერის კონკურსი 8 მარტს დაიწყება და 2 აპრილს დასრულდება. კონკურსანტებს სამი ეტაპის გავლა მოუწევთ და სამ ასაკობრივ კატეგორიაში წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს. ვალერიან შიუკაშვილის აზრით, ეს კონკურსი მარტო იმით კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ნიჭიერ მოზარდებს აღმოაჩენენ, რომლებსაც შემდეგ „არტ აკადემია“ ყველანაირად შეუწყობს ხელს, არამედ ისიც, რომ გოგი ცაბაძის შემოქმედება და ქართული შემოქმედება იქნება პრიორიტეტული.

**კახა ცაბაძე, კომპოზიტორი, გოგი ცაბაძის შვილი:**

— ამ კონკურსს ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამაზე დიდი სიხარული არ არსებობს. ყოველი ასეთი კონკურსი თუ ღონისძიება აცოცხლებს იმ ადამიანს, რომლის შემოქმედებაზეც არის აქცენტი გაკეთებული. მისი სული ხომ ამ შემოქმედებაშია. მიხარია, რომ მამაჩემის უცნობი შემოქმედება ფართო საზოგადოებისთვისაც გახდება ცნობილი. საესტრადო კონკურსის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ კონკურსანტებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ გოგი ცაბაძის სიმღერა. ჩვენმა ოჯახმა უკვე განაცხადა თანხმობა იმაზე, რომ მამაჩემის შემოქმედება კონკურსანტებმა წარმოაჩინონ. ზოგადად კონკურსი კი ძალიან კარგია, თუნდაც იმით, რომ ნიჭიერ მოზარდებს მიეცემათ საშუალება, საკუთარი საესტრადო მონაცემები წარმოაჩინონ. დიდი მადლობა „არტ აკადემიას“, რომ ესტრადის კონკურსს სწორედ გოგი ცაბაძის სახელი მიანიჭეს. მე, როგორც ჟიურის წევრი, ვიქნები მაქსიმალურად ობიექტური და საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს შევარჩევ.

***— ჟიურიში ყოფნა და მამას სიმღერების შეფასება ადვილია?***

— ადვილი ნამდვილად არ არის. ამ კონკურსის ორგანიზატორები 8 მარტს იწყებენ კენჭისყრას, სადაც გამოვლინდება კონკურსანტთა თანმიმდევრობა. ამას, ალბათ, 10 დღე დასჭირდება. საორგანიზაციო საკითხებში გარკვეული კარგად არ ვარ. ამ პროცედურებს ალბათ ათი დღე დასჭირდება და, როცა ასაკობრივ კატეგორიებში განალაგებენ და ყველაფერი წესრიგში იქნება, მაშინ დაიწყება კონკურსი. მათ ასევე დაურიგდებათ გოგის კრებულები. პირველი ტური კი 18 მარტს ჩატარდება.

***— მამას უცნობ ნაწარმოებებზე თანხმობა ადვილად გაეცით?***

— რა თქმა უნდა. მამაჩემს აქვს ნაწარმოებები, რომლებიც უცნობია მისი მსმენელისა და ფართო საზოგადოებისთვის, ამიტომ მათი აჟღერება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია.

***— ამ სიმღერებს როგორ გადაანაწილებთ?***

— როცა ბავშვებს შეარჩევენ, მათთვის არის ორი ტური. პირველი ტურიდან კი არ ეთიშება მონაწილე კონკურსს, არამედ ყველა მღერის მის მიერ შერჩეულ საკუთარი გემოვნებით არჩეულ სიმღერას, რაც სავალდებულოა, ხოლო მეორე ტურში მღერიან ჩვენ მიერ შეთავაზებულ გიორგი ცაბაძის სიმღერას. ეს სავალდებულოა, მაგრამ სავალდებულო იქნება არა ის ჰიტები, რომლებსაც ყოველდღე ატრიალებენ რადიოები და რაც ყურში უზის მსმენელს, არამედ, რაც მართლაც ძალიან ფასეული, ღირებული და ოდნავ მივიწყებულია.

***— ასეთი ნაწარმოები ბევრია?***

— ჩემთვის საკმაოდ ბევრია.

***— აქამდე ჩატარებულა მამას სახელობის კონკურსი თუ ეს პირველია?***

— ესთეტიკის აღზრდის ცენტრი ატარებდა მუსიკალური სტუდიებისთვის კონკურსს. ეს კონკურსი შედარებით მცირერიცხოვანი და ნაკლებმასშტაბური იყო. ახლა კი „არტ აკადემიამ“ და ვალერიან შიუკაშვილმა გადაშყვიტა, რომ გააკეთოს უფრო გრანდიოზული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მთელი საქართველოს მონაწილეებს მიეცემათ. თუ ყველაფერი კარგად ჩატარდა, მომავალ წელს ეს კონკურსი გაცილებით მასშტაბური იქნება. წელს არის ეს კონკურსი მხოლოდ სოლისტებისთვის. გოგის მუსიკა კი არ არის მხოლოდ სოლისტებისთვის. მამა ბევრს მუშაობდა ანსამბლებთან. მისი სიმღერა არის დუეტებისთვის, ანსამბლებისთვის, ამიტომ ამ კუთხითაც გვინდა ჩატარდეს კონკურსი. „ორერა“, „დიელო“, „ციცინათელა“, „რერო“ და სხვა ანსამბლები მამასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. მომავალ წელს გვინდა, ანსამბლებიც ჩავრთოთ, იმიტომ რომ ამ კუთხით მამას საინტერესო ნაწარმოებები აქვს შექმნილი.

***— წელს რატომ არ ჩართეთ ანსამბლები კონკურსში?***

— მხოლოდდამხოლოდ დროის სიმცირის გამო. სოლისტს უფრო შეუძლია, 10-20 დღეში ისწავლოს სიმღერა, რომელსაც ჩვენ მივცემთ. ანსამბლთან სულ სხვა სიტუაციაა. მათ მეტი დრო სჭირდებათ.

***— გოგი ცაბაძის შემოქმედება არ არის მარტივი. 14-15 წლის მოზარდს არ გაუჭირდება მამას სიმღერების შესრულება?***

— ამ კონკურსში უფრო პატარებიც არიან. არის 12 წლამდე, 12-დან 18 წლამდე და 18 წლიდან 27 წლამდე. ერთი სიმღერაა მამასი „საქართველო და დედა“. ძალიან მინდა, წამოიწიოს წინ. ძალიან კარგი სიმღერა აქვს გოგის, „ჯარისკაცის დედა“, რომელიც, სამწუხაროდ, დღევანდელ დღეს ძალიან შეეფერება, დღევანდელ ტკივილს ასახავს. თუ კონკურსანტი ნიჭიერი იქნება, მას გოგის სიმღერების შესრულება არ გაუჭირდება.

***— თქვენ, როგორც ჟიურის წევრი, რა კრიტერიუმით შეარჩევთ საუკეთესოებს?***

— ბევრი მეკითხება, ვინ არის ყველაზე კარგი შემსრულებელი გოგი ცაბაძის შემოქმედებისო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მერიდება. ვისაც მოუსმენია გოგი ცაბაძის შემოქმედება, თვითონ მამას მიერ შესრულებული, ყველა აღიარებს, რომ თავად არის მათი საუკეთესო შემსრულებელი. მე და მამა ერთად ვცხოვრობდით, ამიტომ მისი ყველა სიმღერა, რაზეც მუშაობდა, მაქვს მამას შესრულებით ჩაწერილი. თუკი ოდნავ მაინც იქნება მიახლოებული, ვთქვი კიდეც, რომ გრან პრის სახით მივცემთ მის ხელნაწერს, რომელიც არსად გამოქვეყნებულა.

***— ასეთი სიმღერები მრავლად გაქვთ?***

— არის რამდენიმე ასეთი სიმღერა და სწორედ მას მივცემთ პირველად შესრულების უფლებას, თან ყველანაირად შევუწყობთ ხელს. თუ აღმოვაჩინე ისეთი კონკურსანტი, რომელიც შეძრავს ჩემს სულს, ამ ხელნაწერს დაუნანებლად გადავცემ.

# „რომეო და ჯულიეტა“ თოჯინების თეატრშია

ეკა ირემაშვილი

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერაა. რეჟისორმა დავით მაცხონაშვილმა პატარა მაყურებლისთვის უილიამ შექსპირის უკვდავი „რომეო და ჯულიეტას“ სიყვარულის ისტორია საბავშვო დონეზე გაამარტივა, გააფერადა და ოპტიმისტური ფინალით დააგვირგვინა.

„ფერადი ნისლების სანაპირო“ — ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც შექსპირის გმირები — ადამიანები, რეჟისორმა დავით მაცხონაშვილმა ფისუნიებად — მიოდ და მიად აქცია. შექსპირის უკვდავი ნაწარმოების ინსცენირების ავტორი ელენე მაცხონაშვილია, მხატვარი — მარინა ფრანგიშვილი, კომპოზიტორები — შალვა მაცხონაშვილი და მინდია ხითარიშვილი, რეჟისორის თანაშემწე — ნინო მუხაშარია. სპექტაკლში მონაწილეობენ მანანა გოგიტიძე (მეზღაპრე, ჯადოქარი), ქეთევან სამხარაძე (მია), ვანო მაღლაკელიძე (მიო), სოფიო ცინცაძე (მიას დედა) და ალექსანდრე გაბაიძე (მიას მამა და ცერბერინიო).

დავით მაცხონაშვილისათვის ეს რიგით მეორე სპექტაკლია, რომელიც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში იდგმება. მან გასული საუკუნის 90-იან წლებში თოჯინების თეატრის სცენაზე „წითელქუდა“ დადგა.

რეჟისორის აზრით, ეს სპექტაკლი ოდესმე აუცილებლად გაუცოცხლებს ბავშვებს დაუვიწყარ ემოციებს, როცა ისინი, უკვე გაზრდილები და ზრდასრულები „რომეო და ჯულიეტას“ გაეცნობიან. 35-წუთიანი სპექტაკლი ნოვატორული თოჯინებით, სპეციფიკური განათებით, მუსიკალურად გაჯერებული მომენტებითა და საინტერესო დეკორაციით გამოირჩევა.





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**


## განცხადებები


● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში“ ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# სპორტის სასახლეში დიდი კრივია — ხურციძე-სენდროვსკი

13 მარტს თბილისის სპორტის სასახლე დიდ პროფესიულ კრივს უმასპინძლებს. დღის მთავარი ბრძოლა ავთანდილ ხურციძისა და პოლონელი მარიუშ სენდროვსკის ბრძოლა იქნება, რომლებიც იბო-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ქამრისთვის შეერკინებიან ერთმანეთს. ტურნირის ორგანიზატორი უკრაინული პრომოუტერული კომპანია „ელიტ ბოქსინგ პრომოუშენი“ და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო იქნება.

სადღეისოდ, იბო-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რანგით მეხუთეა საერთაშორისო კრივის ასოციაციაში. მის წინ მხოლოდ „დიდი ოთხეული“ დგას — ვბც, ვბა, იბფ და ვბო.

13 მარტს გასამართი ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქართველი მოკრივისთვის. რამდენიმე თვის წინ, ჩვენებურს ვბა-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების შანსი კამერუნელ ნჯიტაპთან „მოპარეს“, როდესაც ხურციძე წაგებას არ იმსახურებდა, მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილებით, მოგება მეტოქეს მიაკუთვნეს. ახლა ხურციძეს დიდი შანსი აქვს ეს ტიტული მოიპოვოს. სხვა თუ არაფერი, ამ ტიტულის დაცვა მშობლიურ ქვეყანაში და საკუთარი მაყურებლების თვალწინ მოუწევს.

აღსანიშნავია, რომ ქართული პროფესიული კრივის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე საქართველოში პირველად იჩხუბებს. აქამდე ხურციძეს ბრძოლები ამერიკაში, სადაც დაიწყო პროფესიული კარიერა, უკრაინაში, სადაც მიაღწია ყველაზე დიდ შედეგს და დაიმსახურა იქაური გულშემატკივრების დიდი სიყვარული და პარიზში, სადაც ზემოთ ხსენებულ ნჯიტაპთან წააგო, უჩხუბია.

სწორედ პარიზში ჩატარებული ბრძოლის შემდეგ გაიცნო მსოფლიო კრივის სამყარომ „ტორნადოდ“ წოდებული ქართველი მოკრივე, თორემ საქართველოსა და უკრაინაში მისი სახელი, მიღწევა, სანახაობრივი და აგრესიული სტილი ყველამ იცოდა. ხურციძეს პროფესიულ რინგზე 26 ბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელთაგან 22 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა, ხოლო 2 წააგო. ის კარგად ნაცნობია ჩვენი გულშემატკივრებისთვის, ამიტომ ახლა უმჯობესი იქნება, თუ მის მეტოქეს უფრო ახლოს გავიცნობთ.

სენდროვსკი 33 წლის არის, მემარჯვენე. პროფესიულ კრივში 2004 წლის თებერვლიდან ჩხუბობს. გამართული აქვს 25 ბრძოლა, მოგებული 21, აქედან 8 ნოკაუტით. წააგო 2 და ფრედ დაასრულა ასევე 2 ბრძოლა. სენდროვსკის ბრძოლები ჩატარებული აქვს პოლონეთში, გერმანიაში, იტალიასა და აშშ-ში. მის მეტოქეთა შორის ძალიან სახელოვანი არავინ ყოფილა, მაგრამ ბრძოლები კერკეტ და გამოცდილ მოკრივეებთან გადაუტანია.

ორივე მოკრივეს ერთი საერთო მეტოქეც გადაკვეთიათ — ბელგიელი ჯამელ ბაკხი. ერთია, თუ ხურციძემ მეტოქეს მე-5 რაუნდში აიძულა კაპიტულირება, სენდროვსკიმ მეტოქე მხოლოდ ქულებით დაამარცხა.

მარიუშს ნაჩხუბი აქვს ვბც-ს ვერსიით ინტერკონტინენტალის ქამრისთვისაც, სადაც მისი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონის პრეტენდენტი იტალიელი დომენიკო სპადა იყო. ბრძოლა სპადას სამშობლოში ჩატარდა და უშელავათო, 12-რაუნდიან ბრძოლაში, როგორც ხშირად ხდება, მსაჯებმა მოგება მასპინძელს მიაკუთვნეს.

სენდროვსკის ყველაზე შთამბეჭდავი შედეგები ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე აქვს. 2009 წელს სენდროვსკი პოლონეთის ყველაზე პერსპექტიულ მოკრივეს, დამიან იონას შეხვდა, რომელსაც მანამდე პროფესიულ რინგზე წაგება არ ჰქონია. ბრძოლის წინ ფავორიტად იონაკი ითვლებოდა, მაგრამ სენდროვსკიმ მეტოქეს არაფერი დაუთმო და იმის მიუხედავად, რომ მე-5 რაუნდში ხელიც კი მოიტეხა, ბრძოლა მაინც ფრედ დაასრულა.

გასულ წელს კი სენდროვსიმ ორჯერ მოჰგვარა შოკი გერმანულ პუბლიკას. მარტის თვეში, გერმანიში ჩასული სენდროვსკი იქაურ ყველაზე იმედისმომცემ მოკრივეს, 23 წლის ტომას ტრიოლენბერგს შეხვდა, რომლის ანგარიშზე 21 წაუგებელი ბრძოლა იყო. ყველასთვის მოულოდნელად, სენდროვსკიმ დამაჯერებლად იმარჯვა ქულებით.

გერმანელმა მოკრივემ სასწრაფოდ მატჩ-რევანში მოითხოვა, რომელიც კიდევ უფრო მძიმედ დასრულდა მისთვის — სენდროვსკიმ უკვე მე-3 რაუნდში იატაკზე დასცა მეტოქე.

მოკლედ, ხურციძის მეტოქე საკმაოდ გამოცდილია, პროფესიულ რინგზე მხოლოდ 2 წაგება აქვს, რაც მის პლუსად უნდა ჩავთვალოთ. თუმცა, გამოცდილება და გამარჯვებები არც ხურციძეს აკლია, ამიტომაც საინტერესო და იმედის მომცემი ბრძოლა უნდა შედგეს.

ჰო, ასეთი დონის ტურნირი თბილისში პირველად ტარდება და ხურციძე-სენდროვსკის დამაინტრიგებელი ბრძოლა, 13 მარტის საღამოს ნამდვილი მშვენება უნდა იყოს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# უკრაინელები საქართველოს ამერიკელი მწვრთნელით ელოდებიან



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები სექტემბერში ლიტვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ეს ახალი ამბავი არ არის, თუმცა სიახლეები ჩვენს მეტოქეთა ბანაკებშია.

ადრე უკვე ვწერდით, რომ რუსეთის ნაკრებმა კონტრაქტი გაუგრძელა დევიდ ბლატს, ხოლო ახლახან, უკრაინის ნაკრებმა კონტრაქტი ცნობილ ამერიკელ სპეციალისტ მაიკ ფრატელოს გაუფორმა.

უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ასევე წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა ალექსანდრე ვოლკოვმა ახალი მწვრთნელი ჟურნალისტებს წარუდგინა, სადაც ფრატელომ მომავალ გეგმებზე ისაუბრა.

ჩვენც მთლიანი პრესკონფერენციიდან მხოლოდ ის ნაწილი ამოვიღეთ, რომელიც ქართველი გულშემატკივრებისთვის უფრო საინტერესო იქნებოდა.

**მაიკლ ფრატელო:**

— ჩემთვის დიდი პატივია ალექსანდრ ვოლკოვის შემოთავაზება. ჯერ კიდევ „ატლანტა ჰოუკსში“ მუშაობის დროიდან ის ჩემთვის, როგორც შვილი, ისე იყო. ჩვენი ოჯახები მეგობრობენ და არ შემეძლო მისთვის უარი მეთქვა. აქამდე ევროპული კლუბი არასდროს გამიწვრთნია, თუმცა ევროპელ კალათბურთელებთან მუშაობის გამოცდილება მქონია. სხვადასხვა დროს, ჩემს გუნდში თამაშობდნენ ვოლკოვი, პოტაპენკო, ილგაუსკასი, გაზოლი... ასევე მჭიდრო კავშირები მაქვს ალექსანდრ გომელსკისთან, რომელიც ჩემი სტუმარი იყო ამერიკაში. უკრაინის ნაკრებში მუშაობის დაწყებას სულმოუთქმელად ველოდები.

***— რამდენწლიანია თქვენი კონტრაქტი?***

— მე არ მჭირდება კონტრაქტი. ამ ეტაპზე ვოლკოვთან შეთანხმებაც საკმარისია. ჩვენ შევთანხმდით, რომ უკრაინის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვუხელმძღვანელებ, მერე ვნახოთ.

***— როდის და როგორ შემოგთავაზეს უკრაინის ნაკრების გაწვრთნა და ფინანსურის გარდა რა დაინტერესება გაქვთ?***

— თავიდან მე და საშა უბრალოდ ვსაუბრობდით იმ შესაძლებლობებზე, რომ უკრაინის ნაკრები გამეწვრთნა. თანდათან ამ საუბარმა კონკრეტიკა მიიღო. განვიხილავდით ჩემს მუშაობას ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე და მისი მსვლელობისას. რჩევა ვთხოვე ჩემს კოლეგებსაც, რომლებმაც დამარწმუნეს, რომ უკრაინაში მუშაობა ჩემთვის დიდი გამოწვევა იქნებოდა. აქამდე ხომ საერთაშორისო ტურნირზე გუნდი არასდროს გამიყვანია.

***— თუ ხართ ჩახედული უკრაინულ კალათბურთში და როგორი იქნება თქვენი პირველი ნაბიჯები ნაკრებში მუშაობისას?***

— ალალად გეტყვით, ჯერჯერობით, უკრაინულ კალათბურთზე ბევრი არაფერი ვიცი, თუმცა უკვე მაქვს ნაკრების ჩანაწერები და კანდიდატთა შესახებაც ვფლობ ინფორმაციას. ახლა მთავარია, კალათბურთელები ცოცხლად ვნახო. მაინტერესებს მათი ფიზიკური კონდიციები და აზროვნება. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მუშაობას შევუდგე. ვიცი, რომ ვოლკოვის სურვილია, შეიქმნას მუშაობის ისეთი სისტემა, რომელიც ყველა ასაკობრივ ნაკრებს ერთიანობაში მოიყვანს. ეს საშუალებას მოგვცემს, ახალგაზრდა კალათბურთელები უმტკივნეულოდ შეერწყას ეროვნულ გუნდს.

***— ცნობილია, რომ კურირებას გაუწევთ სტუდენტურ ნაკრებსაც, რომელიც ჩინეთში მსოფლიო უნივერსიადაზე უნდა გამოვიდეს.***

— შესაძლებლობის ფარგლებში კონსულტაციას გავუწევ სტუდენტური ნაკრების მწვრთნელს. მის გუნდში ითამაშებენ 25-წლამდე კალათბურთელები, რომლებიც ეროვნულ გუნდში არ არიან. ვფიქრობ, კალათბურთელებისთვის, რომელთაც ჯერ თავიანთი სიტყვა არ უთქვამთ, ეს კარგი შანსია დააგროვონ სათამაშო პრაქტიკა და გამოცდილება. კევინ დურანტი ამერიკის მეორე ნაკრების წევრი იყო, თუმცა დღეს ნბა-ს სუპერვარსკვლავი და მსოფლიოს ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშეა. ამერიკის ნაკრებმა წარმატებას კობი ბრაიანტის, ლებრონ ჯეიმსისა და დუეინ უეიდის გარეშე მიაღწია. ის კალათბურთელები, რომლებიც თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, დაღვინდნენ და სათამაშო პრაქტიკაც შეიძინეს.

***— ვინ შევა თქვენს სამწვრთნელო შტაბში?***

— ამჟამად ჩემი ასისტენტების ვინაობა ცნობილი არ არის, თუმცა ამ საკითხზე მუშაობას უახლოესი დღეებიდან შევუდგები. მომავალ სეზონში ნბა-ში ლოკაუტია მოსალოდნელი და ვეცდები, ჩემთვის საინტერესო მწვრთნელები უკრაინაში მუშაობაზე დავითანხმო.

***— უკრაინელი მწვრთნელებიდან ვინ იქნება თქვენს გუნდში?***

— ჯერ ამაზე საუბარიც ნაადრევია. ახლა რომ გვარები დავასახელო, ისინი მედიიდან შეიტყობენ, რაც დამეთანხმებით, ლამაზი არ იქნება. ჯერ მოლაპარაკებებს გავმართავ, შემდეგ კი თანამშრომლობაზე საუბარიც შეიძლება.

***— აკვირდებოდით თუ არა, ნბა-ში მოთამაშე, „იუტა ჯაზის“ ცენტრ კირილ ფესენკოს თამაშს?***

— ვაკვირდებოდი და საკმაოდ ხშირადაც. „იუტას“ ძირითადი ცენტრის, მეჰმეთ ოქურის ტრავმის შემდეგ ფესენკოს კარგი შანსი აქვს საკუთარი ძალა დაამტკიცოს და ძირითად შემადგენლობაში ადგილი მოიპოვოს. თუმცა, ბოლო დროს „ჯაზმენებში“ არეულობაა. გუნდი დატოვა ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა და ბევრმა წამყვანმა კალათბურთელმა. თუმცა, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ფესენკო სეზონის დასრულების შემდეგ დროულად და კარგ ფორმაში ჩამოვიდეს.

***— ნბა-დან ერთი მოთამაშის მოწვევის საშუალება რომ გქონდეთ, უკრაინის ნაკრებში რომელს მოიწვევდით?***

— არ შეიძლება რამდენიმე? თუ მხოლოდ ერთი? ძალიან რთული კითხვაა. ჯერ საჭიროა, გავარკვიო, უკრაინის ნაკრებს ყველაზე მეტად რა პოზიციის მოთამაშე სჭირდება. თუ უკანახაზელია საჭირო, ჩიკაგოელ დერეკ როუზს ავიყვანდი, ფორვარდის შემთხვევაში, ულაპარაკოდ — ლებრონ ჯეიმსს, ხოლო ცენტრად დუაიტ ჰოვარს ვისურვებდი. ის უნივერსალური მოთამაშე და დიდებული პიროვნებაა.

***— ნბა-ში უკრაინელ კალათბურთელებთან ურთიერთობისას უკრაინული, ან რუსული სიტყვები ხომ არ შეგისწავლიათ?***

— რამდენიმე სიტყვა კი ვისწავლე, მაგრამ არ მგონია ახლა მათი წარმოთქმა კარგი იდეა იყოს. სამაგიეროდ, ვეცდები ჩემი ცოდნის მარაგი უახლოეს პერიოდში გავაღრმავო და მაშინ გაგესაუბრებით. ამ თემასთან დაკავშირებით ერთი კურიოზი გამახსენდა. როდესაც ლიტველი კალათბურთელი ჟიდრუნას ილგაუსკასი ნბა-ში ჩამოვიდა, ის ჩემს გუნდ „კლივლენდში“ თამაშობდა. სანამ საკუთარ სახლში გადავიდოდა, ბობ სურასთან ერთად ცხოვრობდა. ილგაუსკასმა ინგლისური საერთოდ არ იცოდა, რითიც ცუღლუტმა ბობმა ისარგებლა და ცუდი სიტყვები ასწავლა. მალე ამერიკელებისთვის ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაული, მადლიერების დღე დადგა და „კლივლენდის“ მთელმა ჯგუფმა მისი აღნიშვნა ერთად გადაწყვიტა. ბედის ირონიით, ილგაუსკასის გვერდით სწორედ ბობის დედა მოხვდა. ჟიდრუმასს კარტოფილი მოუნდა და ბობის დედას სთხოვა გადაეწოდებია და თან უწმაწური ზმნაც დაურთო. სურას დედა მოულოდნელობისგან გაშრა და როდესაც ილგაუსკასს ჰკითხა ვინ გასწავლაო, მანაც მშვიდად მიუგო, თქვენმა შვილმაო.

კონკრეტულ საკითხზე, თუ რა მიზნები აქვს უკრაინის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ფრატელოს არ უსაუბრია და ეს ყველაფერი სამომავლოდ გადადო. სამაგიეროდ, ალექსანდრე ვოლკოვმა საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა.

ალექსანდრ ვოლკოვი:

— პირველ რიგში ჯგუფიდან უნდა გავიდეთ. ამის შემდეგ შევეცდებით მეორე საკითხზე ვიფიქროთ — მოვიპოვოთ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური. ვფიქრობთ, მოვახერხებთ საუკეთესო უკრაინელი კალათბურთელების შეკრებას, ხოლო ფრატელო მიზნის მიღწევაში მოგვეხმარება.

ვოლკოვის ამ განცხადებაში თამამი ის არის, რომ 6-გუნდიანი ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე 3 გუნდი გადის. ჩვენს ჯგუფში სლოვენიისა და რუსეთის ნაკრებები უპირობო ფავორიტებად მიიჩნევიან, ხოლო დარჩენილი ერთი ადგილისთვის საქართველოს, ბელგიის, ბულგარეთისა და უკრაინის ნაკრებები იბრძოლებენ. ამ ოთხეულში ყველაზე სუსტად სწორედ უკრაინელები მიიჩნევიან, რომელთა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს სპეციალისტები ძალიან სკეპტიკურად უყურებენ.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბლექპული-ჩელსი ... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 63:30 | 60 |
| 2.არსენალი | 28 | 17 | 6 | 5 | 57:27 | 57 |
| 3.სიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 45:25 | 53 |
| 4.ჩელსი | 28 | 15 | 6 | 7 | 51:24 | 51 |
| 5.ტოტენჰემი | 28 | 13 | 9 | 6 | 41:34 | 48 |
| 6.ლივერპული | 29 | 12 | 6 | 11 | 39:36 | 42 |
| 7.ბოლტონი | 29 | 10 | 10 | 9 | 42:40 | 40 |
| 8.სანდერლენ. | 29 | 9 | 11 | 9 | 33:35 | 38 |
| 9.ნიუკასლი | 29 | 9 | 9 | 11 | 44:41 | 36 |
| 10.ევერტონი | 29 | 8 | 12 | 8 | 37:37 | 36 |
| 11.ფულემი | 29 | 7 | 14 | 8 | 32:31 | 35 |
| 12.სტოკი | 29 | 10 | 4 | 15 | 32:38 | 34 |
| 13.ას. ვილა | 29 | 8 | 9 | 12 | 37:50 | 33 |
| 14.ბლექბერნი | 29 | 9 | 5 | 15 | 37:49 | 32 |
| 15.ბლექპული | 29 | 9 | 5 | 15 | 43:58 | 32 |
| 16.ვესტ ბრომ. | 29 | 8 | 8 | 13 | 39:54 | 32 |
| 17.ვესტ ჰემი | 29 | 7 | 10 | 12 | 36:49 | 31 |
| 18.ბირმინგემი | 27 | 6 | 12 | 9 | 26:38 | 30 |
| 19.ვულვზი | 29 | 8 | 5 | 16 | 34:49 | 29 |
| 20.უიგანი | 28 | 5 | 12 | 11 | 27:47 | 27 |

### იტალია. სერია ბ

ვიჩენცა-ტორინო ... 1:0
ატალანტა-ნოვარა ... 1:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

დეპორტივო-სოსიედადი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 24 | 2 | 1 | 78:13 | 74 |
| 2.რეალი | 27 | 21 | 4 | 2 | 65:20 | 67 |
| 3.ვალენსია | 27 | 16 | 6 | 5 | 42:28 | 54 |
| 4.ვილიარ. | 27 | 15 | 5 | 7 | 46:29 | 50 |
| 5.ბილბაო | 27 | 13 | 2 | 12 | 42:38 | 41 |
| 6.ესპანიოლი | 27 | 13 | 1 | 13 | 35:39 | 40 |
| 7.ატლეტიკო | 27 | 11 | 5 | 11 | 39:35 | 38 |
| 8.სევილია | 27 | 11 | 5 | 11 | 41:42 | 38 |
| 9.სოსიედ. | 27 | 11 | 2 | 14 | 38:44 | 35 |
| 10.მალიორკა | 27 | 10 | 4 | 13 | 28:37 | 34 |
| 11.ხეტაფე | 27 | 9 | 5 | 12 | 36:41 | 33 |
| 12.ლევანტე | 27 | 9 | 4 | 14 | 28:38 | 31 |
| 13.დეპორტ. | 27 | 7 | 10 | 10 | 23:36 | 31 |
| 14.რასინგი | 27 | 7 | 9 | 11 | 25:39 | 30 |
| 15.ოსასუნა | 27 | 7 | 8 | 12 | 27:32 | 29 |
| 16.ხიხონი | 27 | 6 | 10 | 11 | 25:34 | 28 |
| 17.სარაგოსა | 27 | 6 | 9 | 12 | 24:39 | 27 |
| 18.ერკულესი | 27 | 7 | 5 | 15 | 25:41 | 26 |
| 19.ალმერია | 27 | 5 | 10 | 12 | 28:45 | 25 |
| 20.მალაგა | 27 | 6 | 5 | 16 | 34:59 | 23 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ტენერიფე-ბარსელონა ბ ... 1:4

### გერმანია. II ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ფორტუნა ... 5:2

### საფრანგეთი. II ლიგა

ბულონი-ევიანი ... 1:2

### ჰოლანდია. II დივიზიონი

ტელსტარი-კამბური ... 3:0

### პორტუგალია. ა ლიგა

ფერეირა-ნავალი ... 0:0
პორტიმორენსე-ნაციონალი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 22 | 20 | 2 | 0 | 51:7 | 62 |
| 2.ბენფიკა | 22 | 17 | 0 | 5 | 45:19 | 51 |
| 3.სპორტინგი | 22 | 10 | 6 | 6 | 33:25 | 36 |
| 4.ფერეირა | 22 | 8 | 9 | 5 | 22:22 | 33 |
| 5.გიმარაეში | 22 | 9 | 5 | 8 | 25:28 | 32 |
| 6.ნაციონალი | 22 | 8 | 6 | 8 | 19:24 | 30 |
| 7.ლეირია | 22 | 8 | 5 | 9 | 18:25 | 29 |
| 8.ბრაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 36:29 | 31 |
| 9.ოლჰანენსე | 22 | 6 | 10 | 6 | 19:21 | 28 |
| 10.ბეირამარი | 22 | 5 | 10 | 7 | 23:25 | 25 |
| 11.აკადემიკა | 22 | 6 | 9 | 10 | 27:35 | 24 |
| 12.რიუ ავე | 22 | 7 | 5 | 10 | 22:25 | 26 |
| 13.მარიტიმუ | 22 | 5 | 7 | 10 | 21:25 | 22 |
| 14.სეტუბალი | 22 | 4 | 8 | 10 | 16:30 | 20 |
| 15.ნავალი | 22 | 3 | 7 | 12 | 18:37 | 16 |
| 16.პორტიმონ. | 22 | 3 | 6 | 13 | 20:38 | 15 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დანდი-აბერდინი ... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61:17 | 67 |
| 2.რეინჯერსი | 26 | 20 | 2 | 4 | 58:23 | 62 |
| 3.ჰართსი | 28 | 17 | 4 | 7 | 41:24 | 55 |
| 4.კილმანროკი | 28 | 12 | 6 | 10 | 42:33 | 42 |
| 5.დანდი | 26 | 9 | 10 | 7 | 33:32 | 37 |
| 6.მოზერველი | 29 | 11 | 4 | 14 | 31:38 | 37 |
| 7.ინვერნესი | 29 | 9 | 9 | 11 | 39:37 | 36 |
| 8.ჰიბერნიანი | 29 | 9 | 5 | 15 | 31:45 | 32 |
| 9.სტ.ჯონსონი | 29 | 8 | 8 | 13 | 18:35 | 32 |
| 10.აბერდინი | 29 | 9 | 4 | 16 | 31:47 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 28 | 4 | 7 | 16 | 22:45 | 22 |
| 12.ჰამილტონი | 28 | 2 | 9 | 17 | 16:48 | 15 |

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

სიგმა-ბანიკი ... 2:0

### დანია. სასლიგა

ჰერსენსი-ოდენსე ... 2:1

### არგენტინა. კლაუსურა

არსენალი-ინდეპენდიენტე ... 3:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული ჩემპიონატი

ორლანდო-პორტლენდი ... 85:89
შარლოტი-კლიპერსი ... 87:92
ნიუ იორკი-იუტა ... 131:109
მემფისი-ოკლაჰომა ... 107:101
მინესოტა-დალასი ... 105:108
ჩიკაგო-ნიუ ორლეანი ... 85:77
საკრამენტო-ჰიუსტონი ... 101:123

## ჩოგბურთი

### ვტა. ინდიანა უელსი. ჰარდი

სპეპერსი-დოი ... 5:7;4:6
რაზანო-ცვეტკოვა ... 4:6;6:1;1:6
ნიკულესკუ-ცურენკო ... 6:2;6:3
ლუჩიჩი-სანჩესი ... 7:5;6:3
მარინო-მალეკი ... 7:5;7:5
როდინა-სავჩუკი ... 6:7;6:2;1:6
ფალკონი-პლავაჩკოვა ... 2:6;1:6
ლიაგოსტერა ... ვივასი-ზაჰლავოვა 2:6;6:3;6:4
პაჩეკი-ბრენგლი ... 6:0;6:1

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი

ტამპა ბეი-ვაშინგტონი ... 1:1(0:1ბ)
სენტ ლუისი-კოლამბუსი ... 4:4(1:0ბ)
ლოს ანჯელესი-დალასი ... 3:4(ოტ)

# საუკეთესო სიმღერა 3.000 ლარით დაჯილდოვდება

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი „საუკეთესო სიმღერა ვაჟა-ფშაველას ლექსზე“. კონკურსის მიზანია საკომპოზიტორო შემოქმედების სტიმულირება, მისი აქტივიზირება და საუკეთესო ნიმუშის წარმოჩენა, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება ვაჟა-ფშაველას პოეზიის მიმართ.**

**წელს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წელი სრულდება. ამ თარიღს საქართველოსთან ერთად იუნესკოც აღნიშნავს. მთის არწივად წოდებული ვაჟა-ფშაველას იუბილესთვის მზადება საქართველოში უკვე დაწყებულია.**

ეკა ირემაშვილი

კულტურის სამინისტრომ ამ პროექტში ჩართო ნიაზ დიასამიძე, დავით მალაზონია, ნიკა მაჩაიძე, ზვიად ბოლქვაძე, ზურა ნადარეიშვილი, ანუკა კახიძე, ლილიკო ნემსაძე, რუსა მორჩილაძე, ნინო ჩხიკვაძე, ანუკი ცქვიტინიძე, ლექსო ქავთარაძე (ლექსენი), დათო არჩვაძე, ნიკა მემანიშვილი, ქეთი გაბისიანი, აჩიკო გულედანი, ირაკლი ნადარეიშვილი, ვახო ბაბუნაშვილი, ბექა ჯაფარიძე, მიშა მდინარაძე, ნიკოლ შოუ, გიგი დედალამაზიშვილი, გიგი გეგელაშვილი, ნიკა წერეთელი, გიგა კუხიანიძე, არჩილ გიორგობიანი, ზაზა კორინთელი (ზუმბა), ჯგუფი „ფრანი“, მამუკა ბეგაშვილი, კახა ცაბაძე, დათო ევგენიძე, ვატო კახიძე, ნანა კალანდაძე, ანუშკა ქასრაშვილი, მამუკა მეგრელიშვილი, ნათია ზეინკლიშვილი.

კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის ამოცანაა ქართული მუსიკის პრესტიჟის ამაღლება, მისი ესთეტიკური ღირებულებების გაზრდა და სოციალური მნიშვნელობის გაფართოება. ამ კონკურსით მოხდება ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების გამოვლენა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის პოპულარიზაცია. კულტურის სამინისტროს სურვილია პროფესიული მუსიკისადმი მსმენელთა ყურადღების გამახვილება, ახალგაზრდა თაობაში მისდამი ინტერესის გაღვივება, ნიჭიერ ხელოვანთა დაფასება და მათ მიერ ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის სახალხო აღიარება.

კონკურსის პირობები უკვე ცნობილია — მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ყველა კომპოზიტორსა და სიმღერის ავტორს. დაწესებულია სპეციალური პრემია, რომელიც გაიცემა კონკურსის საფუძველზე. კონკურსის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, საკონკურსო ნაწარმოები არ იყოს შესრულებული და გამოცემული.

კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონკურსი დახურულია. ავტორის ვინაობა აღნიშნული იქნება ცალკე, დახურულ კონვერტში, რომელიც გაიხსნება მხოლოდ პრემიის გაცემის შემთხვევაში. ნებისმიერმა მსურველმა, ვისაც ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება სურს, კულტურის სამინისტროში უნდა გააგზავნოს საკონკურსო ნაწარმოების პარტიტურის ორი ეგზემპლარი და სიდი აუდიოჩანაწერით.

ვაჟა-ფშაველას ლექსზე შესაქმნელი საუკეთესო სიმღერა ჟანრობრივად შეზღუდული არ არის. კონკურსზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოები — კლასიკური, საესტრადო, ეთნო... კონკურსი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ორ ტურად ჩატარდება. პირველი ტურის შედეგად ფარული კენჭისყრის საფუძველზე შეირჩევა საუკეთესო ნაწარმოებები მეორე ტურისათვის, დასკვნით ტურში კი ფარული კენჭისყრის საფუძველზე ჟიური გამარჯვებულებს გამოავლენს. ამ კონკურსისთვის დაწესებული პრემია განისაზღვრება 3.000 ლარის ოდენობით თითოეულ გამარჯვებულზე.

რაც შეეხება ჟიურის, მათი ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, თუმცა უკვე ცნობილია, რომ კონკურსის ჟიურის წევრებად მოწვეული იქნებიან ცნობილი ქართველი მოღვაწეები — კომპოზიტორები, შემსრულებლები, მუსიკათმცოდნეები. ჟიურის წევრებს უფლება არა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

საკონკურსოდ ნაწარმოებების მიღება პირველ მაისს დასრულდება. გამარჯვებულები ივნისის დასაწყისში გამოვლინდებიან, საუკეთესო სიმღერები კი ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე შესრულდება.

# ამერიკელი სტუდენტი კალათბურთის გუნდიდან ქორწინებამდე სექსისთვის გარიცხეს

აშშ-ში, იუტას შტატის ბიუს უნივერსიტეტმა სტუდენტს, რომელსაც თავის მეგობარ გოგონასთან ქორწინებამდე ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა, უნივერსიტეტის კალათბურთის ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობის უფლება ჩამოართვა. მიზეზი ის გახლავთ, რომ სტუდენტმა უნივერსიტეტში მიღებული მკაცრი ეთიკური ნორმები დაარღვია.

ბრენდონ დევისმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების წინაშე წესების დარღვევა აღიარა.

მისი გუნდი, რომელიც სტუდენტურ ჩემპიონატში მესამე ადგილზე იმყოფებოდა, ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერს ხვდებოდა და დევისის გარეშე დამარცხდა.

უნივერსიტეტში მოქმედი მორალური კოდექსი სტუდენტებისაგან კეთილგონიერებას და წესიერებას მოითხოვს.

გაზეთ „სოლთ ლეიქ ტრიბუნის“ მიერ ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც თავისი გადაწყვეტილება დაიცვა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის კოდექსი კარგად არის ცნობილი და რომ ძალიან ხშირად ამ უნივერსიტეტს სტუდენტები სწორედ მისი კოდექსის გამო ირჩევენ.

„ჩვენ ასე ვცხოვრობთ, ჩვენ ასეთები ვართ“ — განაცხადა უნივერსიტეტის სპორტული კათედრის გამგე ტომ ჰოლმიუმ.

იუტას შტატის აღნიშნულ უნივერსიტეტს მორმონული ეკლესია მფარველობს. უნივერსიტეტის ყველა აბიტურიენტი ვალდებულებას კისრულობს, რომ დაიცვას სასწავლებლის კოდექსს, რომელიც მორმონების ფასეულობების მიხედვით არის შედგენილი.

კოდექსი კრძალავს სპირტიან სასმელებს, თამბაქოს წევას, ნარკოტიკებს, ჩაის, ყავას, უცენზურო გამოთქმებს, ქორწინებამდე სქესობრივ კავშირს. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის სავალდებულოა ეკლესიაში სიარული.

ბრენდონ დევისის გუნდიდან გარიცხვამ აშშ-ის პრესის ყურადღება მიიპყრო, რადგან ეს შემთხვევა სტუდენტური გუნდების პრესტიჟული შეჯიბრის დაწყებას დაემთხვა, რომელიც აშშ-ში „მარტის სიგიჟის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

როგორც იუწყებიან, ბრენდონ დევისმა თანაგუნდელებს ბოდიში მოუხადა. აშშ-ში ღირსების კოდექსი ხშირად მხოლოდ სამხედრო სასწავლებლების ასოციაციას იწვევს, მაგრამ მსგავსი კოდექსები მრავალ ჩვეულებრივ უნივერსიტეტშიც არსებობს, მათ შორის, ვირჯინიისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში.

**გ.თ.**

# საქართველოში ბუნტის წინაპირობა არსებობს

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

***— ბატონო გულბაათ, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შესაძლოა არაბულ ქვეყნებში განვითარებულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვოს საქართველოზეც. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— საქართველოში არსებული სიტუაცია ნამდვილად შეიძლება შევადაროთ იმ ქვეყნების მდგომარეობას, რომლებშიც ახლა მოხდა რევოლუციები. სოციალურ-ეკონომიკური ფონი ძალიან მძიმეა, მუდმივად ძვირდება პროდუქტები, საწვავი. ხალხს ძალიან უჭირს, სახელმწიფო ამ დროს ყველას ახრჩობს — უბრალო მოქალაქეებსაც და ბიზნესმენებსაც, რადგან მას სჭირდება ფული ბიუჯეტის შესავსებად. ეკონომიკური ზრდისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები დაეცა... არსებობს გარკვეული წინაპირობები საიმისოდ, რომ ვთქვათ — საქართველოში რეალურია ბუნტი. მაგრამ, არაბული ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენს ხალხს უფრო ინდივიდუალისტური ხასიათი აქვს. არ არსებობს, რომ ყველა უცბად, სპონტანურად გავიდეს ქუჩებში. ქართველებსა და ეგვიპტელებს შორის არსებული პრინციპული განსხვავება მდგომარეობს ასევე პოლიტიკური აქტივობის საერთო დონეში. საქართველოში ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე დაიხარჯა უზარმაზარი პოლიტიკური ენერგია. ხალხი ყველაფრისთვის იყო მზად, რათა შეეცვალა ამჟამინდელი



ხელისუფლება. და მაშინ ოპოზიციამ, უბრალოდ, ვერ ივარგა, რის შედეგადაც იგი დისკრედიტებული აღმოჩნდა და ახლა ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენს. ამჟამინდელი რეჟიმის ერთადერთ რეალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობენ უცხოეთში ქართულ დიასპორებს — პირველ ყოვლისა, რუსეთში. მაგრამ ისინი ფაქტობრივად ჩამოშორებულნი არიან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის საშუალებას, ეს კი ოფიციალური თბილისის ჩარევით ხდება. საქართველოს ხელისუფლებას ეშინია არა ქვეყნის შიგნით არსებული ოპოზიციის, არამედ ძალების, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, ფლობენ ფინანსურ და პოლიტიკურ ბერკეტებს მასთან საბრძოლველად.

***— როგორ აფასებთ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ლიბიასთან მიმართებით?***

— შეერთებული შტატებისა და მისი დასავლელი მოკავშირეების პოლიტიკა ისეთია, რომ ისინი თავიანთთვის არასასურველ მოვლენებს მიჰყვებიან და ცდილობენ, ეს არასასურველი მოვლენები სასურველ კალაპოტში გადაიყვანონ. მუბარაკის რეჟიმის დამხობა დასავლეთსა და ისრაელს არ აწყობდათ, რადგან მუბარაკი იყო ეგვიპტის დასავლეთის სტრატეგიულ ორბიტაში ყოფნის გარანტი, ეგვიპტე იღებდა ფინანსურ დახმარებას და ამის სანაცვლოდ ამერიკაისრაელის გეგმებს მორჩილად ახორციელებდა რეგიონში. მაგრამ ვინაიდან მუბარაკის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა, დასავლეთმა გადაწყვიტა, ფეხი აუწყოს მოვლენებს: პრესაში დაიწყეს ეგვიპტური და ტუნისური რევოლუციების შედარება „ფერად რევოლუციებთან“ ანუ თითქოს არაბული რევოლუციები დასავლეთისთვის სასურველი იყო და მათ პროდასავლური ხასიათი აქვთ. ამერიკის მოქმედმა თუ ყოფილმა პოლიტიკურმა ელიტამ მუბარაკის კორუმპირებულობასა და დიქტატორობაზე დაიწყო ღიად საუბარი, რასაც მთელი 30 წლის განმავლობაში არ აკეთებდა... ამით დასავლეთი ცდილობს, თავი მოაწონოს არაბებს და მათში ანტიდასავლური განწყობები ჩააცხროს. მე მიმაჩნია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში დასავლეთის ეს მოქნილი პოლიტიკა მაინც განწირულია მრავალი ფაქტორის გამო, რაზეც ახლა არ ვისაუბრებ. რაც შეეხება ლიბიას, აქ არის განსაკუთრებული მომენტები, მაგრამ პრინციპულად ამერიკის პოლიტიკა იგივეა — კადაფისთან დასავლეთი შერიგებული იყო და დასავლურმა კომპანიებმა მსუყე პროექტები მიიღეს ლიბიის ნავთობსაბადოებზე. კადაფი ისლამისტების მტერია და დასავლეთს ესეც სავსებით აწყობდა. მაგრამ მოხდა სახალხო ამბოხი. ასეთ ვითარებაში დასავლეთმა მხარი ოპოზიციას დაუჭირა. ეს სწორი გათვლაა, მაგრამ, ვიმეორებ, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც განწირულია დასავლეთის გავლენა არაბულ სამყაროზე. ახლო აღმოსავლეთში ხალხების გამოღვიძების უკვე დაწყებული პროცესი შეუქცევადია.

***— არსებობს თუ არა სამხედრო ინტერვენციის საშიშროება და რამდენად ჯდება ამერიკის ქმედება საერთაშორისო ნორმებში?***

— ასეთი საშიშროება არსებობს და ამას ხელს უწყობს თავად კადაფი, რომელმაც ძალზე შორს შეტოპა და არ დათმო ძალაუფლება. ამერიკის ქმედებაზე ჯერ ვერ ვისაუბრებ. თუკი აშშ გაეროს მანდატის გარეშე შეეცდება მოვლენებზე ძალისმიერ ზეგავლენას, რა თქმა უნდა, ეს საერთაშორისო სამართლის ფეხქვეშ გათელვა იქნება. მაგრამ ამერიკას გაუჭირდება კიდევ ერთი ავანტიურის შედეგების „გადახარშვა“, როგორსაც ადგილი ჰქონდა ერაყსა და ავღანეთში. ამერიკის ძლიერების ზენიტი გადალახულია და დღეს იგი დაქვეითების გზას ადგას, მისი ჰეგემონია მსოფლიოში შერყეულია.

***— ეთანხმებით თუ არა ირანის პრეზიდენტის ბრალდებებს ამერიკის მიმართ, რომ ამერიკა ცდილობს გაიმეოროს ერაყისა და ავღანეთის სცენარი და გააკონტროლოს ნავთობის რესურსები?***

— რა თქმა უნდა, ლიბია ნავთობითა და ბუნებრივი აირით მდიდარი სახელმწიფოა და სწორედ ამიტომ არის ამხელა აჟიოტაჟი მის გარშემო ატეხილი. დასავლურ ნავთობკომპანიებს ფული აქვთ დაბანდებული ლიბიის ენერგეტიკულ სექტორში, ასევე ხელშეკრულებებია გაფორმებული ლიბიისთვის შეიარაღებების მიყიდვაზე. ყოველივე ამას დაცვა სჭირდება კადაფის შემდგომ ეპოქაში. თორემ საკუთრივ მშვიდობიანი ადამიანების დაღუპვის ფაქტი დასავლეთს არ აღელვებს, გაკეთებული განცხადებები ფარისევლობაა და სხვა არაფერი. ბევრად უფრო საშინელი სამოქალაქო ომები აფრიკის კონტინენტის სიღრმეში ამერიკელებს ნაკლებად აღელვებდათ და სამხედრო ძალებით ჩარევა არ უცდიათ. ირანის პრეზიდენტმა კარგად იცის, რასაც ამბობს. ირანს მდიდარი გამოცდილება აქვს, როგორ ძარცვავდნენ მის რესურსებს მრავალი ათწლეულის მანძილზე ამერიკელები და ინგლისელები, სანამ ამ ძარცვა-გლეჯას წერტილი არ დაუსვა 1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საქართველოს სამბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 2. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 3. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 5. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 6. იაპონიის ჰიმნი; 9. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიელების თანხლებით; 14. მარგალიტების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 1. ესპანური ავიაკომპანია; 4. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში; 8. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 12. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული; 13. შტატი აშშ-ში; 15. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 17. რაიმეს ჩამონათვალი; 19. საქართველოს ეროვნული გმირი; 20. ფულის ერთეული ირანში; 21. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დიხაშხო; 2. წნორი; 3. გობელენი; 4. ადიდასი; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. ბაღდათი; 14. ლეკები; 15. ზაქი; 17. ტატრა; 18. აკრი.

**თარაზულად:** 6. ხიხანი; 7. მოგადიშო; 8. თაგორი; 10. ნანდუ; 11. როსტომიანი; 13. კლაუზულა; 16. ღალატი; 19. კალაპარი; 20. დიამბეგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ალფონსი; 2. პირამიდა; 3. ჭიათურა; 5. კოსინუსი; 7. ინვაზია; 9. დეფეკაცია; 13. მემფისი; 15. ქართლი; 16. ელიოტი; 18. მძიმე.

**თარაზულად:** 4. კლინკერი; 6. ეპიტაფია; 8. კონოსამენტი; 10. ამარეტო; 11. ფარი; 12. რიკოთი; 14. სქური; 19. ბრუნი; 17. დაფნე; 20. სოლოლაკი; 21. არსი; 22. დირექტივა; 23. პენალტი.

# ჩარლი შინი პროდიუსერის ლანძღვისთვის სერიალიდან დაითხოვეს




ამერიკელი მსახიობი ჩარლი შინი ცოტა ხნის წინ პოპულარული სერიალის „ორნახევარი ადამიანის“ გადაღებებს ჩამოაშორეს. ამ სერიალში იგი მთავარ როლს ასრულებდა და სერიალის ხელმძღვანელების ეს გადაწყვეტილება შინის მიერ პროდიუსერების მისამართით შეურაცხმყოფელ კომენტარებს მოჰყვა. მათ შინის საქციელს „თვითგანადგურება“ უწოდეს.

„უორნერ ბრაზერს თელევიჟნის“ ხელმძღვანელების განცხადებით, მათ ეს გადაწყვეტილება ადვილად არ მიუღიათ და ყველაფერი აწონ-დაწონეს. კომპანიის იურისტების მიერ შედგენილ წერილში ნათქვამია, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში შინი რეპეტიციებზე იგვიანებდა, როლი ავიწყდებოდა, ზოგჯერ, საერთოდ არ მოდიოდა რეპეტიციებზე, გარდა ამისა, თავისი განცხადებებით გადამღებ ჯგუფში „შრომით განწყობას წამლავდა“.

ტელესტუდიის ხელმძღვანელობა გარდა ამისა, ვარაუდობს, რომ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება მსახიობის სიცოცხლეს ემუქრება. თავად შინი ამტკიცებს, რომ იანვარში მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ ნარკოტიკებს აღარ იღებს. მსახიობის იურისტებმა განაცხადეს, რომ „უორნერ ბრაზერს თელევიჟნის“ წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილი აქვთ გადაწყვეტილი. თავად შინის თქმით, ძალიან უხარია, ასე რომ მოხდა და პროდიუსერთან შეხვედრები აღარ მოუწევს.

ჩარლი შინმა სახელი ფილმებით „ოცეული“ და „უოლ სთრითი“ გაითქვა. იგი ამერიკის ტელევიზიის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობია, „ორნახევარი ადამიანი“ კი სიბიესის არხზე ყველაზე პოპულარული სერიალი.

მიუხედავად ამისა, მიმდინარე სეზონის დარჩენილი ფილმების გადაღება 10 დღის წინ შეწყდა, მას შემდეგ, რაც შინმა ფილმის პროდიუსერს ჩაკ ლორეს „უსულელესი ადამიანი“ უწოდა.

ამ შემთხვევის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში შინი სკანდალურ ტელე და რადიოინტერვიუებს იძლეოდა.

მსახიობს „უორნერ ბრაზერსთან კონტრაქტი 2012 წლის სეზონის ბოლომდე ჰქონდა დადებული. ამ კონტრაქტის თანახმად, თითოეული ეპიზოდისათვის მას 2 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

ამასთან, შინმა განაცხადა, რომ ეს თანხა მისთვის საკმარისი არ იყო და ანაზღაურების 3 მილიონამდე გაზრდა მოითხოვა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რა ბედი ეწევა სერიალს უცოლო მექალთანე მამაკაცის შესახებ.

„ორნახევარ ადამიანს“ სიბიესისათვის მოგება რეკლამისა და ტრანსლაციის უფლებების გაყიდვის ხარჯზე მოაქვს.

სააგენტო რეიტერის თანახმად, „უორნერ ბრაზერსის“ და სიბიესის ხელმძღვანელობამ შესაძლოა სერიალის სხვა მსახიობთან ერთად გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღოს.

# ოპოზიციამ კადაფის წინადადება არ მიიღო




ლიბიის ლიდერის, მოამარ კადაფის ერთგულმა ჯარებმა ორშაბათს ოპოზიციის პოზიციები დაბომბეს და ლიბიის თავზე ფრენის აკრძალვის მოწოდებები ახალი ძალით გაისმა.

ქალაქ რას-ლანუფის დაბომბვის შედეგად არანაკლებ 20 ადამიანი დაიღუპა.

სახელმწიფო ტელვიზიამ აჩვენა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული ადამიანი, რომელიც კადაფის მოწინააღმდეგეებს ამ სიტყვებით ემუქრებოდა: „დღეს ჩვენ ლასრანუფში დაგხოცეთ, ხვალ მთელს ლიბიაში დაგიწყებთ ხოცვას“.

დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ამჟამად მუშაობენ გაეროს რეზოლუციის პროექტის შესახებ, რომელიც ლიბიის საჰაერო სივრცეში ფრენების აკრძალვას გულისხმობს. სპარსეთის ყურის ქვეყნებმა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს.

ხუთშაბათს ეს საკითხი ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა უნდა განიხილონ.

იმავდროულად, დაუდასტურებელი მონაცემებით, პოლკოვნიკმა კადაფიმ ოპოზიციას მიმართა და გადადგომა შესთავაზა, თუკი მისი ოჯახის წევრებს ლიბიის დატოვების და ქონების გატანის შესაძლებლობას მისცემენ.

მეამბოხეების ხელმძღვანელობამ, რომელიც ქალაქ ბენგაზშია დაბანაკებული და საკუთარ თავს გარდამავალ ეროვნულ საბჭოს უწოდებს, კადაფის წინადადებას უარით უპასუხა.

ლიბიის თავზე ფრენების აკრძალვის პერსპექტივა უფრო რეალისტური მას შემდეგ გახდა, რაც ამ გადაწყვეტილებას მხარი სპარსეთის უბის ქვეყნებმა დაუჭირეს. მათ არაბული ქვეყნების ლიგის საგანგებო სხდომის მოწვევისაკენ მოუწოდეს და სამოქალაქო მოსახლეობაზე ლიბიის ხელისუფლების ძალადობა დაგმეს.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა განაცხადა, რომ ლონდონი რეზოლუციის პროექტის ცალკეულ დეტალებზე თავის პარტნიორებთან ერთად მუშაობს.

მისი თქმით, ფრენისათვის თავისუფალი ზონის გამოსაცხადებლად არაბული და აფრიკის ქვეყნების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ამ ზომის შემოღებისათვის მნიშვნელოვანი საბაბი არის საჭირო, როგორიცაა მაგალითად, მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება.

გავრცელებული ცნობების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუციის თუნდაც გარკვეული ნაწილი უკვე მზად არის, დიპლომატები მის შესახებ საუბრისაგან თავს იკავებენ.

გაეროს უშიშროების საბჭოს ზოგიერთმა წევრმა, მათ შორის რუსეთმა ლიბიის საქმეებში ნებისმიერი სახის სამხედრო ჩარევის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. ზოგიერთი ქვეყანა შიშობს, რომ ლიბიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემთხვევაში ერთ-ერთ მხარეზე შეიძლება აღმოჩნდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლიბიის თავზე ფრენისათვის აკრძალული ზონის შემოღების ზოგიერთ მომხრესაც კი ამ ზომის ეფექტურობაში ეჭვი ეპარება.

იმავდროულად, ნატოს გენერალურ მდივან ანდრეს ფოგ რასმუსენს მიაჩნია, რომ გაერომ ლიბიაში ფრენის აკრძალვას მწვანე გზა უნდა მისცეს.

ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გაეროს სანქციის გარეშე ლიბიაში არსებულ ვითარებაში ჩარევას არ აპირებს.

იგივე მოსაზრება გამოთქვა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა. მან აღნიშნა, რომ ლიბიის ლიდერ მოამარ კადაფის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სამხედრო ოპერაციისათვის საერთაშორისო საზოგადოებრიობის თანხმობა არის საჭირო.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ იმავდროულად ვაშინგტონი ლიბიელი მეამბოხეებისათვის იარაღის მიწოდების შესაძლებლობას იხილავს.

# პაკისტანში დანაღმული ავტომობილის აფეთქებამ 20 ადამიანი იმსხვერპლა




პაკისტანში ქალაქ ფეისალაბადში ავტომობილში ჩადებული ნაღმის აფეთქების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, 100-მდე დაშავდა.

პოლიციის წარმომადგენლების თქმით, ნაღმმა გაზის რამდენიმე ბალონი ააფეთქა, რის შედეგად რამდენიმე შენობა დაინგრა.

ხელისუფლები არ გამორიცხავენ, რომ მსხვერპლი უფრო მეტი შეიძლება იყოს.

ფეისალაბადი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, იგი საფეიქრო მრეწველობის ცენტრია და დღემდე აქ ტერაქტები იშვიათად ხდებოდა.

სახელმწიფო მედიის თანხმად, ქვეყნის პერმიერ-მინისტრმა იუსუფ რეზა გილანიმ დაღუპულთა ახლობლებს მიუსამძიმრა. მისი თქმით, აფეთქება თვითმკვლელმა განახორციელა. დანაღმული ავტომობილი განგებ დააყენეს გაზის ბალონების გვერდით, რათა აფეთქებას მეტი ზიანი მოეტანა. პაკისტანში მრავალი მანქანა საწვავის სახით თხევად აირს იყენებს. სხვადასხვა ცნობებით, გაზით გასამართი სადგური, სადაც აფეთქება მოხდა, პაკისტანის უწყებათაშორისი დაზვერვის შენობის მახლობლად მდებარეობს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პაკისტანში მეამბოხეების თავდასხმების შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა. ყველაზე ხშირად მსგავსი თავდასხმები ქვეყნის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში ხდება, ავღანეთის მეზობელ რაიონებში, რომლებასაც ადგილობრივი ტომები აკონტროლებენ.

# მექსიკაში ნარკობანდების შეტაკებაში 18 ადამიანი დაიღუპა




მექსიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაპირისპირებული კრიმინალური დაჯგუფებების შეტაკების შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა.

ტამაულიპასის შტატის ხელისუფლების განცხადებით, სროლა ქალაქ აბასოლოში მოხდა, ამასთან მათ დეტალები არ გაუმხელიათ.

არსებული ცნობების თანახმად, ქალაქში მომხდარ სროლაში მონაწილეობდნენ ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირები, რომლებიც ქუჩებში სატვირთო ავტომობილებით და სხვა ტრანსპორტით მოძრაობდნენ.

ტამაულიპასის შტატი ნარკოკარტელების, „გალფის“ და „ლოს სეტასის“ დაპირისპირების ცენტრს წარმოადგენს. ისინი ნარკოტრაფიკის გაკონტროლებას ცდილობენ.

მექსიკის მედიის თანახმად, აბასოლოს პოლიცია უკვე რამდენიმე თვეა პრაქტიკულად ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა.

როგორც იუწყებიან, ტამაულიპასის შტატის მცხოვრებლები თვითერის საიტის ბლოგებზე სროლის შესახებ ოფიციალური ხელისუფლების მიერ დადასტურებამდე იუწყებოდნენ.

რიგ შემთხვევებში თვითერში ისინი ადამიანებს შინ დარჩენისაკენ მოუწოდებდნენ.

სროლა, რომელიც ადგილობრივი დროით 6:50-ზე დაიწყო, რამდენიმე საათს გრძელდებოდა. შტატის ხელისუფლების მოკლე განცხადებაში ნათქვამია, რომ ქალაქში წესრიგის დამყარების მიზნით ფედერალური ძალები და პოლიცია გაგზავნეს.

ქალაქი აბასოლო შტატის დედაქალაქიდან, სიუდად ვიქტორიადან 100 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, მასში 14 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

გასულ თვეში მეზობელ ქალაქ პადილიაში ასევე კრიმინალური დაპირისპირების შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა.

2006 წელს ქვეყნის პრეზიდენტ ფელიპე კალდერონის მიერ ნარკოკარტელების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დაწყებიდან დღემდე მექსიკაში ძალადობის შედეგად 34 ათასი ადამიანი დაიღუპა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*


# სამგლოვიარო განცხადებები

დებს სურიე და მეხფულე ავალიანებს, ძმას ნოდარ ავალიანს, შვილებს გიორგი, გურამ, გულიკო ბასილაძეებს, მათ ოჯახებსა და ახლობლებს თანავუგრძნობთ

**ფიქრია ავალიანი-ბასილაძის**

გარდაცვალების გამო.

*გულიკო, ეთერ და მერი ბალაძეები ოჯახებით*

ნუგზარ ქავთარაძე, ცაცა გეგეჭკორი-კვაჭაძე, იზოლდა ნუცუბიძე, მიშა მამაცაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

**მედეია გეგეჭკორის**

გარდაცვალებას.



გიორგი და ვაჟა გეგეჭკორების მეგობრები ნავოლისი ქობულია, მიშა ყარაშვილი, გია გოგლიძე, ირაკლი ბიბილაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

**მედეია გეგეჭკორი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 8, 9 მარტს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 10 მარტს, 15 საათზე.

მისამართი: ნინო ჩხეიძის 34/36 (ევროსაბჭოს გვერდით).



მედეია, ვახტანგ, გია ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამიდის

**მედეია გეგეჭკორის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 9 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** ჩემპიონთა ლიგა **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. მერვედფინალი. **01.40** მოამბე **02.00** მხ. ფილმი **"ანაკონდა"** (18) (სუბტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"უბიწოების ხანა"** **01.00** მხ. ფილმი **"მე დავიპყარი ციხე-სიმაგრე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი შოუ **23.00** დოკ. ფილმი "ჯაზის ლეგენდები" **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. ტოტენჰემი-მილანი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ.ფ. **"ძლიერი ადამიანების ამბები"** (უ. სადლერი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.30** მხ. ფ. **"უცხოპლანეტელი 3"** (ს. უივერი) (სუბტ.) **01.45** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"პრინცესა მუხუდოს მარცვალზე"** (კ. ბარნეტი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"მომიყევი ერთი ამბავი"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ოქროს კერპი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** ანდრია კრიტელის კანონი **12.30** დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-3ნ. **13.35** კონცერტი **14.40** დიდმარხვის პირველი კვირის საკითხავი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** დოკ. ფილმი "ალპური ვარსკვლავი" **16.10** დოკ.ფ."ველური ბუნება" **16.35** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** დოკ. ფილმი "აკაკი" **20.00** ანდრია კრიტელის კანონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.50** ანდრია კრიტელის კანონი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 9 მარტს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7188
ევრო —2,4098
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8046
რუსული რუბლი — 0,061

**ამინდის პროგნოზი 9 მარტისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 7-13, ღამით — 2-4,
**დასავლეთ** საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 17-21, ღამით — 19-11,
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 4-6, ღამით — -§-2







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო“

უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის** 146. **ტელ.:** 14-41-58, 95-90-60.


## ზურაბ ხიზანიშვილი ზაფხულამდე ახალ კონტრაქტზე არ ფიქრობს

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელ ზურაბ ხიზანიშვილს, რომელიც ინგლისური პრემიერლიგის კლუბ „ბლექბერნიდან“ იჯარის წესით ჩემპიონლიგის კლუბ „რედინგშია“ განათხოვრებული, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, სად გააგრძელებს კარიერას. თუმცა, უფრო მოსალოდნელია, რომ ჩვენებურის კონტრაქტი რედინგმა გამოისყიდოს და კლუბი აღარ შეიცვალოს. ამის შესახებ თავად ხიზანიშვილიც ხმამაღლა ამბობს.



— თუ „რედინგი“ კონტრაქტს შემომთავაზებს, დარჩენის სურვილი მაქვს. აქ სწორედ ამიტომ ჩამოვედი და თავს ბედნიერად ვგრძნობ. თავს „რედინგის“ ფეხბურთელად მივიჩნევ და იმედს ვიტოვებ, რომ ამ კლუბთან ერთად ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში „უემბლიზე“ ვითამაშებ. მხოლოდ ამის შემდეგ შევხედავ, ზაფხულში რა მოხდება. შემიძლია კლუბში დავრჩე, ან სხვაგან წავიდე. ჩემმა მენეჯერმა და კლუბმა უკვე ისაუბრეს, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტული არაფერია. წინ მთელი 3 თვეა და ამიტომაც არ ვჩქარობ. ვფიქრობ, გარკვეული წინადადება სხვა კლუბებიდანაც იქნება, მაგრამ ჯერ „რედინგის“ ფეხბურთელი ვარ და ზაფხულამდე სხვა რამის მოსმენას არ ვაპირებ. ამასთან, ძალიან ბევრჯერ შევიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი, რაც ბავშვებისთვის იოლი ნამდვილად არ არის, რადგან ისინი სკოლაში დადიან. ვფიქრობ, სადმე უნდა დავმკვიდრდე. ბრიტანეთში უკვე 12 წელია ვიმყოფები და თავს სანახევროდ აქაურად მივიჩნევ, — განაცხადა ხიზანიშვილმა, რომელმაც საგანგებო გამოცდა ჩააბარა, რათა ბრიტანეთის პასპორტი აეღო.

მ. ჟ.



## იუმორი

საკონტროლო სამუშაო სამედიცინო ინსტიტუტში. მასწავლებელი სტუდენტებს ეუბნება:

— „შპარგალკები“ არ გადაყაროთ, ექიმად რომ დაიწყებთ მუშაობას, ერთი-ორი წელი კიდევ გამოგადგებათ...

* * *

— რას აკეთებ?

— არაფერს, ვმუშაობ...

* * *

ბიჭი გოგოს წინ მუხლებზე დაეცა:

— გამომყვები ცოლად?

— გამოგყვები, ოღონდ ადექი, ჩვენს შარვალს ნუ სვრი...

* * *

— სვამ?

— მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

— ეგ როდის?

— დასალევი როდესაც მაქვს...

* * *

— ჭკვიანი ქალი კომპლიმენტით მამაკაცს აფასებს, სულელი — საკუთარ თავს.

* * *

— ბოლოს იცინის ის, ვინც ყველაზე ნელა ფიქრობს...

* * *

— მესანგრეს შეცდომის უფლება არ აქვს. აკი ნათქვამია, „მესანგრე ერთხელ ცდებაო“. სინოპტიკოსის პროფესია სწორედ ამიტომ ავირჩიე...


# მალე! მალე! მალე!

100 წიგნი

„ახალი თაობა“ და „საოჯახო ბიბლიოთეკა“

გთავაზობთ

# სუპერპროექტს

# ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო


## ხასიათი თუ განწყობა?

ტესტი



***1. ახდენს თუ არა ამინდი გავლენას თქვენს ხასიათსა და შრომისუნარიანობაზე?***

ა) არა; ბ) კარგ ამინდში თავს უკეთ ვგრძნობ; გ) ცუდი ამინდი ჩემზე ცუდად მოქმედებს.

***2. იცავთ თუ არა რამე დიეტას?***

ა) საკუთარი წარმოდგენა მაქვს სწორად კვებაზე და მას მივდევ; ბ) არავითარი დიეტა, უბრალოდ, თავს ვუფრთხილდები; გ) უსისტემოდ ვიკვებები.

***3. ძილი თუ გყოფნით?***

ა) დიახ; ბ) ხანდახან მაკლდება, მაგრამ შემდეგ ვინაზღაურებ; გ) ქრონიკულად უძინარი ვარ.

***4. გაკმაყოფილებთ თუ არა თქვენი ინტიმური ცხოვრება?***

ა) დიახ; ბ) არც ისე; გ) არა.

***5. არის თუ არა ის, რაც მუდმივად გაღიზიანებთ სამსახურში ან შინ?***

ა) არა; ბ) ხანდახან; გ) დიახ.

***6. გაქვთ თუ არა იუმორის გრძნობა?***

ა) ამბობენ, რომ მაქვს; ბ) ალბათ; გ) იუმორისთვის არ მცხელა.

***7. იღებთ თუ არა რაიმე წამალს?***

ა) ავადმყოფობის დროს ექიმის დანიშნულებით; ბ) ხანდახან გუნების და ხასიათის გამოსაკეთებლად; გ) დიახ, ეს მესაჭიროება.

***8. თუ გაღელვებთ რაიმე ქრონიკული დაავადების განვითარების შესაძლებლობა?***

ა) ამაზე არ ვფიქრობ; ბ) არც ისე; გ) საკმაოდ.

**პასუხები** *პასუხები შეაფასეთ ასე: ა) — 3, ბ) — 2, გ) — 1.*

**8-13 ქულა:** თავს მაინცდამაინც კარგად არ გრძნობთ. ექიმს მიმართეთ, შეიძლება ამას ობიექტური მიზეზი აქვს.

**14-19 ქულა:** თავს ცუდად არ გრძნობთ, მაგრამ ხანდახან სისუსტე გიპყრობთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ თქვენს ჯანმრთელობას.

**20-24 ქულა:** ცხოვრების სწორად შერჩეული წესის წყალობით, თავს მუდმივად კარგად გრძნობთ.

გ.თ.

## ასტროპროგნოზი 9 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
საკუთარ თავს ჩაუღრმავდით!

**ვერძი** — თავს მიხედეთ, არ გადაიღალოთ. **კურო** — შემოქმედებითი განწყობით იმუშავეთ, დაჯილდოვდებით. **ტყუპები** — ნუ ენდობით უცხო პირებს, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია მოინდომოთ. **ლომი** — გელით სიურპრიზი და ფული. **ქალწული** — არ გარისკოთ, ფრთხილად იმოქმედეთ. **სასწორი** — გზიდან ფულს მიიღებთ, პრობლემებს ადვილად მოაგვარებთ. **ღრიანკალი** — გელით რომანტიკული თავგადასავალი, მთავარია თავი არ დაკარგოთ. **მშვილდოსანი** — ნუ იქნებით ამბიციური, არაფერში გჭირდებათ. **თხის რქა** — ის საქმე აკეთეთ, რაც გულით გსურთ. **მერწყული** — მოერიდეთ კონფლიქტს, გააკონტროლეთ ყველა სიტყვა. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ ჭამოთ მძიმე საკვები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**ვერტიკალურად:** 1. ეგვიპტის მმართველთა ტიტული; 2. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. რაიონული ცენტრი კახეთში; 5. რაიმეს განვითარების მიმართულება, მისწრაფება; 9. ჩეჩნეთის დედაქალაქი; 12. უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი, შემთხვევა; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 15. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ორგანიზმში; 17. ხურდა ფული აშშ-ში; 18. ბრაზილიის ნაკრებისა და „მილანის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 6. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 7. ვრტუოზი ქართველი ხელბურთელი; 8. მოყვითალო ფერის, სურნელოვან ყვავილებიანი ფოთლოვანი ხე; 10. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 11. წყლის შიში; 13. ნავთობის უდიდესი საბადო ყაზახეთში; 16. „ფორმულა-1“-ში მონაწილე პოლონელი ავტომრბოლელი; 19. ცეცხლსასროლი იარაღი; 20. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

